საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 125 (2041) ხუთშაბათი, 21 სექტემბერი, 1995 წელი. ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დღეს, 21 სექტემბერს, ქუთაისში იწყება ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის აღზევების 1000 წლისთავის საიუბილეო დღეები (21-27 სექტემბერი)

რწმენა

ღვთისმშობლობას გილოცავთ, თანამემამულენო!

დღეს, 21 სექტემბერს, აღინიშნება დიდი ქრისტიანული დღესასწაული — შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა — ღვთისმშობლობა.

გადმოცემით ებრაელთა ქვეყანაში ცხოვრობდა ღვთისმოშიში ცოლ-ქმარი იოაკიმ და ანა. იოაკიმი დავით მეფის შთამომავალი იყო, ხოლო ანა — მღვდელმთავარ აარონისა. ცოლ-ქმარს შვილი არ ჰყავდათ, ძლიერ სწუხდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ შვილი მიეცა მათთვის, თან აღუთქვეს, რომ, თუ შვილი შეეძინებოდათ, მას უფალს შესწირავდნენ. ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და შესძინა ასული, რომელსაც მარიამი დაარქვეს.

მარიამია მშობელი უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მარადის ქალწული მარიამი — დედობისა და შვილიერების მფარველი — უმაღლესი მთლიანობისა და ჰარმონიის შთამაგონებელი სახეა. ვითარცა დედა ღვთისა და დედა მთელი განაბლებული კაცობრიობისა თავისი უნივერსალური დედობის მხსვერპლგაღებით უველა ქრისტიან დედას ყოველი ცოცხლის გამრავლების, გაზრდის, დაცვისა და გარდაქმნისათვის ზრუნვის გზას აჩვენებს.

ღვთისმშობლობა საქართველოში უდიდესი დღესასწაულია, ჩვენი ქვეყანა ხომ ღვთისმშობლის წილხვედრია. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით ძვირფასია ქართველთათვის მისი სახელი. და დღეს, როცა ჩვენ ვაშენებთ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს, და ამ დიდი მშენებლობის გზაზე არაერთი დაბრკოლება გვხვდება, იმედით შევთხოვთ ამ წმინდანს დაეხმაროს ჩვენს ხალხს, გადაეფაროს თავისი კალთა, მისცეს ძალა სასიკეთოდ წარმართოს საქართველოს მომავალი ცხოვრება და ბედი მისი.

სწორედ ამ იმედითა და რწმენით იქნება გაბრწყინებული წლევანდელი ღვთისმშობლობა. რადგან გული და გონება ყოველი ჭეშმარიტი ქართველისა, ვინც ფიქრობს სამშობლოს ბედზე, ვისაც უნდა იხილოს თავისი ქვეყანა ჭეშმარიტად დემოკრატიული და აყვავებული, დღეს განსაკუთრებით მიაპყრობს მზერას მარიამს, რომლის მადლი დაგვიფარავს მომავლისაკენ სავალ გზაზე.

21 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია დიდი პატივით აღნიშნავს ამ დღესასწაულს.

საქართველოს ამიერ-იმერის ყველა მოქმედ ეკლესიაში წინამძღვრები აღავლენენ საზეიმო წირვა-ლოცვას. საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება სიონის საკათედრო ტაძარში.

დედაო ღვთისა! შენ იყავი მფარველი შენივე წილხვედრი ქვეყნისა, დააძლევინე მას ყოველგვარი განსაცდელი. ბედნიერი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსათვის წლევანდელი ღვთისმშობლობა.

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

გაერო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს

საქართველოში იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილე, გაეროს სამშვიდობო მისიათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი სიდ იკბალ რიზა. მისი ჩამოსვლის მიზანია გაეცნოს გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მუშაობას.

გუშინ ბატონი რიზა შეხვდა საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს. შეხვედრისას სტუმარმა დაადასტურა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას და თქვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში უნდა მოგვარდეს.

შემდეგ საპატიო სტუმარი რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო. შეხვედრა კვლავ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებასა და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხებს მიეძღვნა.

ბატონმა რიზამ აღნიშნა, რომ რუსეთის პრემიერის ვიზიტს საქართველოში აუცილებლად მოჰყვება სამშვიდობო ძალების გააქტიურება. „თუ რუსეთი ბოლომდე ამოუდგება საქართველოს მხარში, მოსალოდნელია პრობლემის სრული მოწესრიგება. ეს პოლიტიკური რეალობაა", — აღნიშნა ბატონმა რიზამ.

ოთარ ფაცაციამ იმედი გამოთქვა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო იტყვის თავის საბოლოო სიტყვას და გაამართლებს ამ ორგანიზაციის მაღალ სახელს.

შეხვედრას ესწრებოდა თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

გუშინვე საღამოს ბატონი რიზა ზუგდიდს გაემგზავრა. დღეს კი გალსა და სოხუმს ეწვევა — ამ სამივე ქალაქში მუშაობენ გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მისიის წევრები.

საქართველოს პარლამენტში

პლენარული სხდომა არ გამართულა

იმის გამო, რომ ქვორუმი არ შეიკრიბა, 20 სექტემბერს დაგეგმილი საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიის პლენარული სხდომა არ გაიმართა.

შემდეგი პლენარული სხდომა 3 ოქტომბრისათვის არის დაგეგმილი.

საქართველოს ისტორიაში ვიცით პერიოდებს, როდესაც ქვეყნის გამაერთიანებელი ძალები კი არ ეძებენ ერთმანეთს, უპირისპირდებიან და ფუშავენ უზარმაზარ საქმეებს. შესაძლებელია კი ასეთი რამ? მაგრამ ისმის კითხვა. შესაძლებელია, საქართველოს გაერთიანება გსურდეს და ასეთივე სურვილით განმსჭვალულს უპირისპირდებოდე? სამწუხაროდ, არათუ შესაძლებელია, ეს სინამდვილეა, საქართველოსი. თუ გაერთიანების სურვილი ამბიციებით არის გამოკვებილი და ნაკარნახევი, ამავე საზრდოთი გამოკვებილ მსგავს სურვილს ახლოს არ გაიკარებს. თვითონ მოისურვებს ინდივიდუალურად ლელოს გატანას და დაფნის გვირგვინს! ბოლოს მჟღავნდება, რომ ეს არ არის გაერთიანებისაკენ ნამდვილი მისწრაფება, ეს საქართველოს მხარეების დამორჩილებაა საკუთარი სკიპტრის ქვეშ და არა ერთსულ და ერთხორც ქვეყნის შენივთება, ე. ი. გაერთიანებისაკენ მისწრაფებას სხვადასხვა შინაარსი აქვს.

ჟამი საქართველოს გაერთიანებისა

განსხვავებულ შინაარსს განსხვავებული შემადგენლობა წარმოქმნის. საქვეყნო მისწრაფებანი, სურვილები, თვისებანი მაქვს მხედველობაში. X საუკუნეში საქვეყნო გამოდიოდა წინა ხაზზე. პიროვნული, განკერძოებული, ქვეგამხედვარი ითრგუნებოდა. საქვეყნო ინტერესები თრგუნავდა მას. იყო ჭიდილი, იყო ორთაბრძოლა საქვეყნოსა და პიროვნულს შორის, მაგრამ აშკარად პირველი ჩაგრავდა მეორეს. პირველი ისტორიული პროცესის პირმშო იყო. ისტორიული პროცესი კი ხანგრძლივი და ენერგიული გახლდათ. ბედნიერება იყო ამ ჟამის შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ საქვეყნო ინტერესები ჭარბობდა და ჩაგრავდა კერძოს. საქართველოს გოლიათური სული წელში იმართებოდა.

იოანე მარუშის-ძის პიროვნება ამ წიაღმა დაბადა. იოანე მარუშის-ძემ დაინახა, რომ შეიძლებოდა მთელი საქართველოს გაერთიანება. როგორ, რა გზით?: „აფხაზთა მეფე" თეოდოსი უსინათლო იყო, ქვეყანაში შინააშლილობა ჩამოვარდა. იოანე მარუშის-ძემ „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა. აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თვით, ანუ უბოძოს ბაგრატს ძესა გურგენისსა. ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყუდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე".

დავით კურაპალატს შვილი არ ჰყავდა, მემკვიდრედ გურგენის-ძე ბაგრატი აეყვანა. ახლა, თუ ქართლის ტახტზე ბაგრატს დასვამდნენ, დასავლეთი საქართველო, ქართლი და დავით კურაპალატის სამკვიდრო ტაო-კლარჯეთი გაერთიანებული აღმოჩნდებოდა. ეს არის იოანე მარუშის-ძის გეგმა. მაგრამ თავად იოანე მარუშის-ძე არის ნაყოფი დიდი მისწრაფებისა, იოანე მარუშის-ძე წიაღმა გამოაშუქა, როგორც უნათლესი გონება. მაგრამ თუ წიაღი არ იქნებოდა მზად, ეს სხივიც არ წარმოიშვებოდა. ფარნავაზის და ქუჯის შემდგომ საქართველოს პოლიტიკური აზროვნება ამ სიმაღლეზე არ ამოზიდულა. იოანე მარუშის-ძის პიროვნება ამტკიცებს, რომ საქართველოში უკვე გიზგიზებდა სურვილი მთლიანობისა. „მოწინავე" ჯგუფი ქართველობისა გზებს ეძიებდა. წინათ ასეთი ძალისა არ იყო ეს ძიება. წინათ ქართველი კაცის სურვილი „თავის ქვეყანაში" დამკვიდრებას, განმტკიცებას და თავისუფლებას ესწრაფვოდა: კოლხეთი, ტაო, ქართლი, კახეთი... წინათ რომელიმე მეფე მოიწადინებდა და იტვირთავდა კიდეც საქართველოს გაერთიანების იდეას. ვთქვათ, ფარნავაზი, ვთქვათ გორგასალი. მაგრამ წიაღი არ ემორჩილებოდა. ქართული ქვეყნების განცდომილება მძაფრი იყო! ახლა სურათი შეიცვალა. ქართულ წიაღს მთლიანობა სურს. ეს არის ერისა და ქვეყნის ზეაღმავალი ხაზი. თითქოს არაბთა ბატონობას უნდა ჩაეკლა მსგავსი სურვილი, მაგრამ ერის ზეაღმავალ ხაზს, შინაგან ზრდას, ვერაფერმა დაუდო ზღვარი. ის უჩუმრად იღვწოდა. იოანე მარუშის-ძემ იცის, ვის უნდა დაეყრდნოს. საქართველოს ამ დროს ჰყავს დიდი მეფე დავით კურაპალატი. მართალია, იგი ტაოს მფლობელია, თუნდაც გაფართოებული ტაოსი, ერთი ქართული ქვეყნისა, მაგრამ დიდი მეფეა, ზნესრული, მტკიცე, შემძლე, შორსმხედველი.

დავით კურაპალატმა მთელი თავისი გამოცდილება გამოიყენა საქმის ბოლომდე მისაყვანად. სიბრძნით ბრწყინავდა გარემომცველი ქვეყნების თვალში, მაგრამ ვერც ტაო-კლარჯეთის საზღვრების გაფართოება, ვერც ბარდა სკლიაროსის დამარცხება და ბიზანტიელებისაგან დიდი საჩუქრის გადმოცემა დავით კურაპალატს იმ სახელს ვერ შესძენდა, რაც სწორედ საქართველოს გაერთიანების პროცესმა შესძინა.

მან ამოიცნო ჟამი — ქვეყნის გაერთიანების პროცესი წაიკითხა, დაინახა, საითკენ ქროდა ქვეყნის ფიქრი. დაინახა, რომ ჟამი დამდგარიყო, რამდენი საუკუნე ელოდა ამ ჟამს საქართველო! რამდენი საუკუნის განმავლობაში ეძახდა ნაწილი ნაწილს, რამდენი საუკუნის განმავლობაში ესწრაფვოდა მრთელ პურპელს ეროვნული სული.

ტაოს მფლობელს, დავით კურაპალატს, ხანდაზმულ მეფეს, თავად შეეძლო საქართველოს გაერთიანება, აერთიანებდა კიდეც, მაგრამ ერთი მეფის მეფობის ხანა ვერ გაწვდა საქმეს. ცალკე საგანია საუბრისა, რად გადაიქცა მის ხელში ტაო-კლარჯეთი, როგორ აუვავდა და განივრცო... მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს გაერთიანების საქმის გაგრძელებაზე იგი ბევრს ფიქრობდა. შვილობილად რომ ბაგრატ გურგენის ძე აიყვანა, ეს არის ამ ფიქრის გვერდაუვლელი არგუმენტი და სიტყვები, რომლებიც მან ქართლის აზნაურთა წინაშე წარმოთქვა: „ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისა და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი", ყველაფერია ნათქვამი. ტაოს, ქართლისა და აფხაზეთის მემკვიდრედ გამოცხადებით კურაპალატმა თავისი შვილობილი გაერთიანებული ქვეყნის მესვეურად წარმოადგინა და გააცხადა თავისი დაფარული ზრახვანი. ამად ზრდიდა ბაგრატს, ამად იშვილა, რომ ბუნებრივი და გარდუვალი ყოფილიყო ტაოს, ქართლისა და აფხაზეთის გაერთიანება. რჩებოდა კახეთი და ჰერეთი.

ბაგრატ მესამის შვილობილად აყვანა ბედნიერი შემთხვევა არ ყოფილა დავით კურაპალატმა ეს „შემთხვევა" დაგეგმა. არც იოანე მარუშის-ძის ფენომენი ყოფილა ბედნიერი შემთხვევა. საქართველოს ზეაღმავალი ხაზის კანონზომიერებამ ეს ფენომენი გამოძერწა. ისინი ბედნიერი შემთხვევის წყალობით კი არ გადააწყდნენ ერთმანეთს, ისინი ეძებდნენ ერთმანეთს გაფაციცებით! საქვეყნო სულისკვეთება ასეთ პიროვნებებს ერთმანეთს აძებნინებდა.

980 წლიდან ბაგრატი უკვე „ასაკ სრულია". 980 წლიდან 1002 წლამდე, 22 წლის განმავლობაში დავით კურაპალატი მართავს ტაო-კლარჯეთს. ერთ დროში ორი უდიდესი მეფე ჰყავდა ქვეყანას. ორთავე საქართველოს გაერთიანების მოსურნეა. დავით კურაპალატი გაერთიანების პროცესის წარმმართველია. საქვეყნოდ განაცხადა ამის შესახებ. ბაგრატი დიდი მისიის მტვირთველია — გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფედ გამზადებული. ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ.

მემატიანე თავად აღნიშნავს რომ ბაგრატ მესამე დავით კურაპალატის მეფობის სტილს მისდევს, მის სიბრძნეს აპყრობს ყურს, მის მოდელს იყენებს.

მაგრამ უფრო დიდი მოვლენა შეიქნა ბაგრატ მესამისაგან საკუთარი დიდი, საშვილიშვილო მისიის შეგრძნება. საქართველოს გაერთიანების მისია! ღმერთის სურვილის აღსრულება! ასე იხატებოდა მის წინაშე მომავალი ცხოვრება. ყველაფერი უნდა გაეკეთებინა საამისოდ. მემატიანე მის მრავალ სიკეთესა და დიდებულ თვისებას აღნიშნავს, აქებს და ადიდებს. დიდ ივანე ჯავახიშვილს გადაჭარბებულადაც კი ეჩვენება ეს ქება, იმდენად გულუხვია მეისტორიე ბაგრატის მიმართ, მაგრამ ქებას ჰქონდა თავისი მყარი საფუძველი. საფუძველი კი მოქმედებათა ის სისტემაა, რომელიც მოიმარჯვა და წარმართა მეფემ, რათა მიზნისათვის მიეღწია. ეს მოქმედებანი მთელი თავისი შედეგით სახეზეა და რაკი სახეზეა იგი ერთიანად ანათებს ბაგრატ მესამის მაღალ შეგნებას. ბაგრატ მესამის მაღალი შეგნება კი ეროვნული თვითშეგნების გამოხატულებაა.

რა უნდა გავაკეთო მე?! ეს კითხვა უმთავრესი იყო ბაგრატ მესამისათვის.—რასაც კახეთის ქორეპისკოპოსი, აფხაზთა მეფე, ტაოს მფლობელი აკეთებდნენ? —ეს არ იყო მიამიტური კითხვა, კითხვა-დილემა გახლდათ იგი. ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის აჩრდილები თვალწინ ედგნენ ალბათ ჭაბუკ მეფეს. მათი ტვირთის სიმძიმეს გრძნობდა მხრებზე. რაც შემდეგ ბაგრატ მესამემ აკეთა, თავისთავად გულისხმობს ფიქრში გატეხილ ღამეებს და დიდი საქმეებისათვის საკუთარი სულის წრთვნას, საკუთარი ხასიათის შემზადებას. პირველ ყოვლისა, თავად უნდა შემზადებულიყო გიგანტური ნახტომისათვის, რისთვისაც ამზადებდა ღმერთი მის ერს. ღმერთის ნებით საქართველოს ეს ნახტომი უნდა გაეკეთებინა. საამისოდ შეკრა დავით კურაპალატმა საქართველოს კამარა.

(დასასრული მე-4 გვ.)



დავით აღმაშენებლის დაბრუნება



გვესაუბრება მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი

რამდენი შესანიშნავი ქმნილებით დაუმშვენებია ელგუჯა ამაშუკელს იმერამერი, რამდენი ნამუშევარი სახალხო მხატვრისა, სამუდამოდ შევიდა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში. და მაინც, დავით აღმაშენებლის ძეგლის დადგმა განსაკუთრებულია ხელოვნისათვის!

— თითქმის 20 წლის წინათ გამიჩნდა სურვილი — შემექმნა დავით აღმაშენებლის ძეგლის პროექტი, — მიამბობს ელგუჯა ამაშუკელი, — იმედი მქონდა, რომ როდესმე განხორციელდებოდა ეს პროექტი, რომ ერი ღირსეულ პატივს მიაგებდა ჩვენს უდიდეს მეფეს. სხვათა შორის, ძეგლი იმთავითვე ქუთაისისთვის იყო გამიზნული, ქალაქის მაშინდელ ხელმძღვანელებს მოსწონდათ პროექტი, მაგრამ მის განხორციელებამდე, ეტყობა, კიდევ ბევრ წყალს უნდა ჩაევლო... და აი, დღეს, გამოგიტყდებით, მართლა ბედნიერი კაცი ვარ... სახელმწიფოს მეთაურის დიდი მხარდაჭერის, თეიმურაზ შამიაშვილის შესანატრი ძალისხმევის, საერთოდ, ქუთათურთა მისაბაძი ენთუზიაზმის შედეგად დავით აღმაშენებლის ძეგლი დაიდგმება მისივე სახელობის მოედანზე.

შეუძლებელი შეძლეს ძეგლის მშენებლებმა — უმოკლეს ვადაში გაამშვენიერეს მისი არქიტექტურული ნაწილი (არქიტექტორი — ვახტანგ დავითაია), და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ქუთაისშივე, საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთ საამქროში ბრინჯაოში ჩამოასხეს ძეგლი. ყველას მათ — დიდი მადლობა!..

ვნახოთ, როგორ მოიწონებს ხალხი ჩემს ნამუშევარს... საქართველოში ხომ ყველას თავისი დავით აღმაშენებელი ჰყავს... პრეტენზიები, ცხადია, იქნება... ვნახოთ... მე ნიჭი და უნარი არ დამიზოგავს — წარმომესახა მჭერეთ-მეჭვე ძლიერი საქართველოსი, ისეთი წინამძღოლი ერისა, რომელსაც სამომავლოდაც ინატრებს ქართველი.

ესაუბრა

ვილენ მარდალეიშვილი.

სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ წესრიგს

ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღებასთან დაკავშირებით, სამართალდარღვევათა და დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ შოთა კვირაიას ბრძანებით, აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრს, ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს, შინაგან საქმეთა რეგიონული სამმართველოების, ქალაქების — ქუთაისის, ზუგდიდის, რუსთავის, გორის შინაგან საქმეთა სამმართველოების, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული განყოფილების უფროსებს დაევალათ, 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე, მოსახლეობისაგან კუპონების მიღებისა და მისი ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლის პერიოდში განახორციელონ საბანკო დაწესებულებების საიმედო დაცვა, ფულის ნიშნების გადამცვლელ პუნქტებზე მიამაგრონ პოლიციის ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც განახორციელებენ 25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე სადღეღამისო მორიგეობას ფულადი ნიშნების გადამცვლელ პუნქტებში.

ამავე ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტის, კორუფციისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტს დაევალა, ადგილობრივ პოლიციასთან ერთად, განახორციელონ კონტროლი პარლამენტის მიერ მიღებული სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში შეტანილი დამატებების უცილობელ განხორციელებაზე, რომლის მიზანია ლარის, როგორც ერთადერთი საგადასახადო ფულადი ერთეულის დამკვიდრება.

არჩევნები

განიხილეს საარჩევნო უბნების შექმნის საკითხები

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კონფერენცდარბაზში გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თათბირი, რომელსაც უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე ვანო ჩიღურაძე, თათბირს ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულები, რაიონის გამგებლები და სამხარეო მოწყობის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

თათბირზე განიხილეს საარჩევნო კომისიის უბნების შექმნის საკითხები. განისაზღვრა პოლიტიკური პარტიების მიერ კანდიდატების წარდგენის ვადები.

სტიქია

მეწყრები აჭარაში

ბათუმი. 20 სექტემბერი, (საქინფორმის კორ.).

მესამე დღეა, აჭარაში კოკისპირულად წვიმს. სწორედ მან გამოიწვია მეწყრები, რომლებმაც ორი ახალგაზრდა შეიწირა. სოფელ მახინჯაურში დაიღუპა 22 წლის მერაბ ბაგრატიონი, რომლის სახლი სტიქიამ წალეკა. იგივე ხვედრი ხვდა წილად 14 წლის ირმა ზოიძეს ჩაქვის მეციტრუსეობის მეურნეობაში.

სამმა მეწყერმა ჩაკეტა საავტომობილო მიმოსვლა ბათუმ-ქობულეთის ტრასაზე, მწვანე კონცხის რაიონში. ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელები ახორციელებენ საგანგებო ღონისძიებებს სტიქიის შედეგების დასაძლევად. დღის მეორე ნახევარში მოძრაობა აღდგა.

ფულის რეფორმა

25 სექტემბრიდან საქართველოს საფინანსო ძარღვებში მოძრაობას დაიწყებს დიდი ხნის ნანატრი ეროვნული ვალუტა — ლარი. ეს არ არის უბრალო ფულის რეფორმა, მხოლოდ ვალუტის კურსის შეცვლა და ახალი ნომინალების შემოღება. ეს გახლავთ ერის ცხოვრებაში ისტორიული მოვლენა, რომელიც ბალავარს ჩაუყრის დანგრეული ეკონომიკის აღორძინებას, ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას.

ეს აზრი დომინირებდა პრესკონფერენციაზე, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 19 სექტემბერს გამართა. მის მუშაობაში ბანკის პრეზიდენტთან ნოდარ ჯავახიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ვიცე-პრეზიდენტები გივი ჯილაური, მერაბ კაკულია, მარლენ გიორგაძე, დავით კომახიძე.

პრესკონფერენციის გახსნისას ბატონმა ნოდარ ჯავახიშვილმა მოკლედ მიმოიხილა წინასარეფორმო პერიოდი. შეიძლება ითქვას, განაცხადა მან, რომ ბოლო წელიწადნახევარში ქვეყნის ფინანსური სტაბილიზაციისთვის რეალური ნაბიჯები გადაიდგა. მხედველობაში მაქვს ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკიდან მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე გადასვლის, ფასების მოწესრიგების, საბიუჯეტო რეფორმის, საბანკო სისტემის გარდაქმნის, კრედიტზე რეალური საპროცენტო განაკვეთების დაწესების, კუპონის საცვლელი კურსის გამყარების და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს საკმაოდ სერიოზული თანმიმდევრობით ხორციელდება. სამწუხაროდ, კუპონის მიმოქცევის არეალი კვლავაც ძალიან მცირეა, იგი ვერ ასრულებს ფულის ფუნქციას — უწინარესად, მიმოქცევის საშუალების გადახდის და დაგროვების ფუნქციას. ეს, რა თქმა უნდა, ზღუდავს ბანკების შესაძლებლობებს განახორციელონ ოპერატიული ოპერაციები. ლარი, რომელიც 2 ოქტომბრიდან საქართველოში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება იქნება, კუპონისაგან განსხვავებით, შეიძენს ფულის ყველა ფუნქციას და დასაბამს მისცემს რეფორმების ახალ ეტაპს.

კონფერენციის მონაწილე ჟურნალისტები გულისყურით ისმენენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ოპტიმიზმით აღსავსე სიტყვებს, თუმცა ზოგნი ეჭვსაც გამოთქვამენ:

— ვითომ ლარი წაუფორხილებლად დაიწყებს ცხოვრებას? სად არის იმის გარანტია, რომ ლარსაც კუპონის ბედი არ ეწევა?

— არა, ლარი კუპონის ბედს არასოდეს გაიზიარებს. ლარი ფულია და უპირველესად მის ფუნქციებს შეასრულებს. რაც არ უნდა ადმინისტრაციული მეთოდები გამოგვეყენებინა, კუპონი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა ერთადერთი საგადასახადო საშუალება. რა დასამალია, მას მოსახლეობა ძირითადად ნორმირებული პროდუქტების შესაძენად და კომუნალური გადასახადებისთვის იყენებდა, საბანკო მიმოქცევაშიც, ბუნებრივია, კუპონის მასის მხოლოდ მცირე ნაწილი ექცეოდა. ლარის შემოღებით ეროვნული ფულის მოქმედების არეალი ფართოვდება. მისი კურსის სიმტკიცის საფუძველია სარეზერვო ვალუტა, რომელიც საზღვარგარეთმა გამოგვიყო. ყოველივე ეს იძლევა იმის გარანტიას, რომ ლარი ინფლაციური არ გახდება.

— კი მაგრამ, სარეზერვო ვალუტა განა რამდენ ხანს გვეყოფა?

— ეროვნული ბანკი იძლევა პირობას, რომ 2-3 წლის მანძილზე ლარის კურსი მყარი იქნება. ამ ხნის მანძილზე ხალხს ექნება საშუალება იმუშაოს და ასე თუ ისე ნორმალურად იცხოვროს.

— შემდეგ რაღა ვქნათ?

— ხელი უნდა გავანძრიოთ.

წყაროს წყალს დაგვალევინებს...

თუ ამ პერიოდის გავლის შემდეგაც სახალხო მეურნეობამ არ იმუშავა, კონკურენტუნარიანი პროდუქცია არ შექმნა და რეალიზაცია არ გაუკეთა, ქვეყნის ეკონომიკა კვლავ ჩიხში მოექცევა.

— ვინ არის თავდები იმისა, რომ სავაჭრო ორგანიზაციები და კერძო პირები 2 ოქტომბრიდან მხოლოდ ლარით ივაჭრებენ?

— ამის თავდებია სანქციები, რომლებიც დამრღვევთა მიმართ გამოიყენება. უცხოური ვალუტით მოვაჭრენი პირველად დიდი თანხით დაჯარიმდებიან, ხოლო განმეორების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან.

— უნდა ვივარაუდოთ, გამოჩნდებიან პირები, რომლებიც ლარის კურსის ხელოვნურად დაცემას შეეცდებიან.

— ასეთები არსებობდნენ და კვლავაც იარსებებენ.

— დღემდე ზოგ კერძო სტრუქტურაში შრომის ანაზღაურება ხდებოდა უცხოური ვალუტით (რუბლი, დოლარი), ამის შემდეგ როგორ იქნება?

— საქართველოში მცხოვრები და მომუშავე ყველა მოქალაქე ანაზღაურებას მიიღებს ლარით.

— იქნება თუ არა ლარი კონვერტირებული?

— ლარის შიდაკონვერტიზაცია მოხდება მისი მიმოქცევაში შემოღებისთანავე, ხოლო გარეკონვერტიზაცია — შემდგომ პერიოდში.

— როგორი იქნება ეროვნული ფულის უცხოურ ვალუტებზე გადაცვლის კურსი?

— რეფორმის პერიოდში ეროვნული ბანკი პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ კუპონის ლარში გადაცვლაზე (1 მილიონი კუპონი გაიცვლება 1 ლარში). რაც შეეხება სხვა ვალუტებს, ბანკები მათ გაცვლას ჩვეულებრივად საბანკო ბირჟაზე დაწესებული კურსის მიხედვით განახორციელებენ.

— ხომ არ იქნება ისეთი მაღაზიები, რომლებიც უცხოურ ვალუტაზე ივაჭრებენ?

— არა, საქართველოში მაღაზიები მხოლოდ და მხოლოდ ლარით ივაჭრებენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ომს არ ვუცხადებთ უცხოურ ვალუტას — ისინი ჩვენთან იარსებებენ, მაგრამ არა სასაქონლო სფეროში.

— ეს ხომ არ გამოიწვევს სამომხმარებლო ბაზრის გაღარიბებას, საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანაში შეფერხებებს?

— ვფიქრობთ, ამ მხრივ დაბრკოლებები არ იქნება, მით უფრო, რომ რუსეთის ცენტრალური ბანკი ხსნის ფულის მიმოქცევაში ადრე დაწესებულ შეზღუდვებს. დადებული ხელშეკრულების თანახმად ჩვენს ბანკებს შეუძლიათ რუსეთის ბანკებში თავისუფლად შეიტანონ თანხები და ჩარიცხონ საკორესპონდენტო ანგარიშზე. ეს, ბუნებრივია, დიდად გააუმჯობესებს რუსეთთან სასაქონლო და სავალუტო ურთიერთობებს. ესეც არ იყოს, თუ ჩვენს ბაზარზე მოთხოვნილება იქნება, საქონლის შემოტანას არც სხვა ქვეყნები დაიზარებენ.

კუპონის ლარზე გაცვლა დაიწყება 25 სექტემბერს და დამთავრდება 1 ოქტომბერს. ამ ერთი კვირის განმავლობაში მიმოქცევაში იქნება კუპონიც და ლარიც, ჩვეულებრივად იმუშავებს უცხოური ვალუტაც. ბანკებში შეტანილი ანაბრები (კუპონი) დაწესებული კურსის მიხედვით ლარად გადაანგარიშდება. ორი ოქტომბრიდან მიმოქცევაში შემოვა მხოლოდ ლარი.

25 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე ბანკებში შეჩერდება თანხების გაცემა.

ამ ერთ კვირაში მოისწრება კი, რომ ყველაფერი მშვიდად და კარგად გაკეთდეს?

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, აღელვების საბაბი არ არსებობს. დღეისათვის საჭირო ფულადი მასა (ლარისაც და თეთრისაც) შეტანილია რესპუბლიკის ბანკებში. 25 სექტემბრიდან მიმოქცევაში გამოვა 1, 2, 5, 10, 20, 50, 100 ლარის ღირებულების საბანკო ბილეთები და 1, 2, 5, 10, 20 და 50 თეთრის ღირებულების მონეტები.

ფულის გაცვლას მოახდენენ ძირითადად ქართული ბანკის ფილიალები. რეფორმა რომ არ შეფერხდეს და მოსახლეობას უკეთესი პირობები შეექმნას, თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში დამატებით იმუშავებენ საქართველოს ბანკისა და აგრობანკის განყოფილებებიც. რესპუბლიკის იმ სოფლებში, სადაც ბანკები არ არის, ფულის გადაცვლას აწარმოებენ ადგილებზე შექმნილი დროებითი გადამცვლელი პუნქტები.

ფულის გადაცვლის დროს იქნება თუ არა რაიმე შეზღუდვები?

არა, არავითარი შეზღუდვები. ფულის გადამცვლელს არ დასჭირდება დეკლარაციის გაკეთება (როგორც ეს ერთ დროს იყო), მას არავინ მოსთხოვს პირადობის მოწმობას, არავინ შეეკითხება თანხა საიდან აქვს.

ასეთია ფულის რეფორმის პერიპეტიები. იგი ძირითადად ფულის გადაცვლით (ლარის კუპონზე გადაცვლით) შემოიფარგლება. ბევრს კი იმედი ჰქონდა, რომ რეფორმა ცხოვრებას ერთბაშად შეუმსუბუქებდა. ფულის რეფორმას ამჯერად იმაზე მეტის გაკეთება არ შეუძლია, რაც მას აკისრია.

სამომავლოდ? ეს სხვა საკითხია, „ლარის შემოღება, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ 18 სექტემბრის რადიოინტერვიუში, — საშუალებას გვაძლევს, მართალია არა რადიკალურად, მაგრამ ერთგვარად მაინც გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე: უწინარეს ყოვლისა, ეს არის პირველი ნოემბრიდან ხელფასების ერთნახევარჯერ გადიდება, განვლილ პერიოდში ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკების მეანაბრეთა ანაბრების ინდექსირებისა და კომპენსირების თაობაზე მიღებული პრინციპული გადაწყვეტილება".

აი, თურმე რამდენ რამეს გვპირდება რეფორმა სამომავლოდ. მოხდება იმ ანაბრების ინდექსაცია და კომპენსირება, რომელზეც მოსახლეობას ფაქტობრივად ხელი ჰქონდა ჩაქნეული.

... საუკუნეებია ქართველ კაცს ეროვნული ფულის ხიბლი აღარ სცხებია. იგი, როგორც ახალშობილი ჩვილი, ჩვენგან მოითხოვს მოფერებას, სიყვარულს, თანადგომას. ჩვენც განზე ნუ გავუდგებით (როგორც ერთ დროს კუპონს მოვექეცით), ხელი ჩავკიდოთ, მხარში ამოვუდგეთ, მას ღვთიური ძალა და ღონიერება შევმატოთ. თავის მხრივ არც ლარი დაგვრჩება ვალში — მწარე ცხოვრებით დაღლილ-დაქანცულებს წყაროს წყალს დაგვალევინებს, მოგვასულიერებს, შვებითა და სიკეთით აგვავსებს.

ოთარ ხუციშვილი.

გზა—ლარი მოდის!

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სახალხო მხატვარს ნოდარ მალაზონიას

— ბატონო ნოდარ, 16 სექტემბერს, მინისტრთა კაბინეტის შენობაში გამართულ ფულის რეფორმის გაფართოებულ თათბირზე თქვენ ბრძანეთ — ახალი ქართული ფულის შექმნისათვის განვლილი ოთხი წლის მანძილზე მე არ წამიკითხავს და არ მსმენია, პრესას ან ტელევიზიას დაესვას მარტივი კითხვა — ლამაზია ქართული ფული? ამჯერად მე დაგესესხებით და გთხოვთ მიპასუხოთ. როგორც ქართული ლარის დიზაინის ავტორმა (თანაავტორი — ბაჩა მალაზონია) — ლამაზია ქართული ფული?

— კაცობრიობის გაჩენიდან დღემდე ადამიანს არ შეუქმნია არცერთი ყოფითი ნივთი, რომ არ ეზრუნოს მის სილამაზეზე, რომ არაფერი ვთქვათ მის შინაარსსა და დანიშნულებაზე.

ქართული ფულის პირველი ნიმუშები ჯერ კიდევ ამ ოთხიოდე წლის წინათ შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ განვლილი დროის სხვადასხვა ეტაპზე ხდებოდა მისი კორექტირება, მისი ძირითადი იერსახე ბოლომდე იქნა შენარჩუნებული. უფრო მარტივად და გასაგებად რომ გიპასუხოთ, გამოდის, რომ თავისი დიზაინით ლარი, რომელიც ახლა შემოვა ბრუნვაში, თითქმის ოთხი წლისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ლარს ჩვენ სხვაგვარად გავაკეთებდით, მომავალ ოთხი-ხუთი წლის შემდეგ კი, ალბათ, უფრო სხვაგვარად. ვფიქრობ, ეს გასაგებია, რამეთუ დრო და გარემო მუდამ თავისას გვიკარნახებს.

რაც გაკეთებულია, იმაზე კი ვიტყვი, რომ ვფიქრობ, იგი მართლაც ლამაზია, შინაარსობრივად მდიდარი და ტევადი. ჩვენი მიზანი იყო მაქსიმალურად გვესარგებლა იმ სპეციფიკური შესაძლებლობებით (მოგეხსენებათ, ფული გრიპივით ადვილად ვრცელდება) და გარე სამყაროსათვის მიგვეწოდებინა ჩვენი ქვეყნის შესახებ თუნდაც მინიმალური ინფორმაცია, რომ ჩვენ სამშობლოს უძველესი ისტორია და მდიდარი კულტურა გააჩნია.

ამისათვის ჩვენ თუნდაც დასავლეთში გავრცელებული ხერხიც გამოვიყენეთ და ერთ-ერთ ნომინალზე მოვათავსეთ საქართველოს რუკა და მისი ადგილმდებარეობა.

ლარის შემოსვლა, თუ გნებავთ — შემობრძანება, უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და არა მხოლოდ როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი სრულყოფის ატრიბუტიკა ან ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის ელემენტი, არამედ ახალი ქართული ფული თავისი შინაარსითა და გამომსახველობით ზოგადად ქართული სახელმწიფოს კულტურული და ისტორიული ტრადიციებით არსებობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

— რას იტყვით ხურდა ფულზე — „თეთრზე"?

— „თეთრიც" საფრანგეთში, კერძოდ, პარიზის ზარაფხანაში მოიჭრა. მისი ფასადის დიზაინი ეკუთვნის ჩვენ სახელოვან მოქანდაკეს ელგუჯა ამაშუკელს. ზურგის მხარე კი, რომელზეც სახელმწიფოს სიმბოლიკა არის გამოსახული, მე და ბაჩამ გავაკეთეთ.

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ლარისა და თეთრის შექმნაში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მეცნიერები და კულტურის მოღვაწეები. იყო უამრავი წინააღმდეგობა, რომ არაფერი ვთქვათ დილეტანტთა შემოტევაზე.

მინდა განსაკუთრებით გამოვყო ბოლო ეტაპზე ეროვნული ბანკის და მისი პრეზიდენტის ბატონ ნოდარ ჯავახიშვილის სასარგებლო აქტიურობა და კიდევ, როგორც სახელმწიფო მეთაურმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანა — საფრანგეთის მთავრობის ფასდაუდებელი დახმარება. მე ამას დავუმატებდი ფირმა „ობერტურის" (სადაც ლარი დაიბეჭდა) წარმომადგენელს საქართველოში ბატონ მიშელ გედევანიშვილს, რომელმაც შესაშური ერთგულებით იღვაწა ამ მიმართებით.

— რა შეგიძლიათ ახალი ქართული ვალუტის სტაბილურობის შესახებ თქვათ?

— მე თუ მკითხავთ როგორც მხატვარს — უბრალოდ მოქალაქეს, ფული პატარძალსა გავს. მოიყვან სახლში და კაცმა არ იცის, რა დღეს დაგაყრის, მაგრამ დღემდე მე არ გამიგონია ამ საბაბით ვინმეს უარი ეთქვას ამ უმშვენიერესი რიტუალის საზეიმო ცერემონიალზე. პატარძალი უკორწილოდ არავის უნახავს. უფრო მეტიც, ფულს პატარძალივით უხდება შექება და მოფერება.

ლარის სიჯანსაღე და მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვენზეა დამოკიდებული; როგორც შევიყვარებთ, როგორც ვუპატრონებთ, როგორ გავუფრთხილდებით და როგორც დავიხარჯებით მისთვის, ისიც იმავე ღირსებითვე გვიერთგულებს და თუ ეს ასე არ მოხდა, სხვას ნურავის დავაბრალებთ.

თუ გვინდა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოს", მაშინ ჩვენი ლარიც უნდა გვიყვარდეს, ჩვენი თეთრიც, ჩვენი დროშაც და ჩვენი ჰიმნიც, თორემ „აწინა ტყუობით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთ-ერთ ღალატით სარჩოსაბადებელი საშოვარ გაგვიხდნის".



დოლარი:
— ვფიქრობ, საერთო ენას გამოვნახავთ!

მხატვარი ვახტანგ კუცია.

ჟამი დიდი არჩევნისა

მეტროპოლიტენელები მხარს უჭერენ ედუარდ შევარდნაძის კანდიდატურას

გაიმართა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს მუშაკთა საერთო კრება, რომელზეც ამ ოთხიათასიანი კოლექტივის 11 ქვეგანაყოფის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მომავალ არჩევნებში.

თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ შეკრებილთ შეახსენა, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფოს მეთაური მეტროპოლიტენის ნორმალური ფუნქციონირების, კოლექტივის სოციალურ პრობლემათა გადაჭრისათვის. კრებამ გადაწყვიტა ედუარდ შევარდნაძეს გაუგზავნოს წერილი, რომელშიც აღუთქვამენ პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის მხარდაჭერას და პირდებიან, რომ მაღალ დონეზე მოემსახურებიან საქართველოს დედაქალაქის მეტროპოლიტენის მგზავრებს.

საზღვარი

არ იგეგმება ფართომასშტაბიანი მანევრები

რუსეთის ფედერალურმა სასაზღვრო სამსახურმა უარყო მასობრივი ინფორმაციის მთელ რიგ საშუალებათა ცნობები, თითქოს მზადდებოდეს სასაზღვრო მანევრები რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე. როგორც დღეს აცნობებს იტარ-ტასის კორესპონდენტს ფედერალური სასაზღვრო სამსახურის საინფორმაციო სააგენტოში, ამ ღონისძიების განხორციელება არ არის საჭირო, რადგან მაისში ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის მოადგილის გენერალ-პოლკოვნიკ ნიკოლოზ ბორდიუჟის ხელმძღვანელობით კავკასიის განსაკუთრებული სასაზღვრო ოლქის მონაკვეთზე მოეწყო საკომანდო-საშტაბო მანევრები.

როგორც განაცხადეს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის საინფორმაციო სააგენტოში, ამჟამად რუსეთ-საქართველოს საზღვრის, მათ შორის მისი აფხაზური მონაკვეთის დაცვაც ჩვეულებრივი რეჟიმით ხორციელდება.

* * *

უახლოეს ხანში რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე სასაზღვრო ჯარების არავითარი ფართომასშტაბიანი მანევრები არ იგეგმება, განუცხადა იტარ-ტასის კორესპონდენტს სოჭის სასაზღვრო რაზმის შტაბის უფროსმა ფაიდ ბაბტიევმა, შეგახსენებთ, რომ წინა დღით აფხაზური წყაროები ამტკიცებდნენ, თითქოს 21-28 სექტემბერს საზღვრის აღნიშნულ მონაკვეთზე უნდა განხორციელებულიყო სასაზღვრო ჯარების ფართომასშტაბიანი მანევრები იმ მიზნით, რომ შემუშავებულიყო აფხაზეთის ბლოკირებისათვის მესაზღვრეთა მოქმედება იქ საბრძოლო მოქმედების გაჩაღების შემთხვევაში.

ოფიციალური დოკუმენტი

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების შესახებ

1995 წლის 15 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის ვ. ს. ჩერნომირდინის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს ყოველმხრივ იყო განხილული ორი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობათა მდგომარეობა და პერსპექტივები.

მხარეებმა აღნიშნეს, თუ რა ფუძემდებელი მნიშვნელობა აქვს 1994 წლის 3 თებერვალს ხელმოწერილ საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის შემდგომი სწრაფი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.

ხაზგასმით აღინიშნა ორივე მხარის მისწრაფება განავითარონ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა თანასწორობისა და საქართველოს და რუსეთის ინტერესების პატივისცემის პრინციპებზე, ყოველნაირად შეუწყონ ხელი ტრადიციულ მეგობრულ კავშირურთიერთობათა განმტკიცებასა და განვითარებას, საქართველოსა და რუსეთის ხალხების საერთო მონაპოვრის — კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის გამრავლებასა და გამდიდრებას.

აღნიშნეს რა, რომ საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სამხედრო კავშირურთიერთობათა ხასიათი, მასშტაბი და ფორმები ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება მათს პოტენციურ შესაძლებლობებს, მხარეებს საჭიროდ მიაჩნიათ აიყვანონ ამ სფეროებში თანამშრომლობა თვისებრივად ახალ დონეზე, სრულყონ მისი შინაარსი, მიანიჭონ მას უფრო ეფექტიანი ფორმები, გააფართოონ სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა.

ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელმოწერილია: ხელშეკრულება სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საოჯახო საქმეებში ერთმანეთისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის შესახებ; შეთანხმება რკინიგზის ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ; შეთანხმება სავალუტო და საექსპორტო კონტროლის სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ; ხელშეკრულება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ; ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას სხვადასხვა სფეროში ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა მიაჩნიათ წვლილად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების განვითარების, თანამეგობრობის ეკონომიკური კავშირის ფორმირებისა და მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის საქმეში.

ე. ა. შევარდნაძე და ვ. ს. ჩერნომირდინი შეთანხმდნენ, რომ ორმხრივ თანამშრომლობაში ძირითადი ძალისხმევა უწინარესად მიზნად უნდა ისახავდეს პრიორიტეტულ დარგებში კავშირურთიერთობათა გაფართოებასა და გაღრმავებას. შეიქმნება ხელსაყრელი პირობები მეურნე სუბიექტებს შორის და, განსაკუთრებით, იმ საწარმოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობისა და პირდაპირი კონტაქტების განვითარებისათვის, რომლებსაც ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებული წარმოებანი და კოოპერაციული კავშირურთიერთობანი აქვთ. ნავარაუდევია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკურ, საინვესტიციო, კომერციულ და სამეურნეო საქმიანობის სხვა დარგებში თანამშრომლობის ეფექტიან ფორმებს. მთავარი ყურადღება დაეთმობა სამთო-მეტალურგიული და სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსების, აგრეთვე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა შორის ურთიერთობის განვითარებას.

საქართველო და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ კასპიის რეგიონიდან ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი უთუოდ ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყდება.

საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების ინტერესებიდან გამომდინარე მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე სახელმწიფოს ინვესტორებისათვის ხელშემწყობი კლიმატის შექმნას, რისთვისაც განახორციელებენ ურთიერთინვესტიციების წახალისებისა და დაცვის, კაპიტალთა თავისუფალი მოძრაობის, აგრეთვე საკუთრების უფლებათა მოწესრიგების საჭირო ღონისძიებებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგადამხდელო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა სრულყოფას. ამ მიზნით განხორციელდება ურთიერთანგარიშსწორების საკითხების მოგვარების საჭირო ღონისძიებანი.

გადაწყვეტილია შეიქმნას ორმხრივი მუდმივმოქმედი სამუშაო კომისია ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხების განსახილველად.

მხარეები აგრეთვე ყოველნაირად განავითარებენ და გააფართოებენ პარტნიორულ ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში.

ორივე მხარე ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს პირდაპირი კონტაქტებისა და ურთიერთობების განვითარებას მეცნიერების, კულტურისა და განათლების სფეროში, ინფორმაციის გაცვლას, ჰუმანიტარულ სფეროში სრულმასშტაბიანი თანამშრომლობის დამყარებას ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამოქმედების გაფართოებას ისეთ საკითხებში, რომლებიც ადამიანის მოქალაქეობრივ, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს ეხება.

რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის აუცილებელი პირობაა კონფლიქტების მოგვარება. ე. ა. შევარდნაძემ და ვ. ს. ჩერნომირდინმა დაადასტურეს, რომ ერთგულად იცავენ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და არსებული საზღვრების ურღვეობის პატივისცემის პრინციპებს და გადაჭრით დაგმეს ყოველგვარი აგრესიული სეპარატიზმი და ტერორიზმი.

მხარეები დარწმუნებული არიან, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ მიაღწიონ კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებას აფხაზეთში. კონფლიქტების მოწესრიგების პოლიტიკური ფორმების გონივრული ალტერნატივა არ არსებობს. მხარეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების შესახებ მემორანდუმის დებულებებს, აგრეთვე აფხაზეთის, (საქართველოს რესპუბლიკა), კონფლიქტის შესახებ განცხადებას, რომლებიც მიღებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს სხდომებზე შესაბამისად 1995 წლის 10 თებერვალს და 26 მაისს.

ე. ა. შევარდნაძესა და ვ. ს. ჩერნომირდინს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნების პროცესის რადიკალურად დაჩქარება. ამ პრობლემის გადაჭრას მჭიდროდ უკავშირდება ომის შედეგად დანგრეული რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, უწინარესად, რკინიგზის ტრანსპორტის და ელექტროგადამცემი ხაზების ნორმალური ფუნქციონირების აღდგენა.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში დასახული გარკვეული ძვრები და დაადასტურეს თავიანთი განზრახვა ხელი შეუწყონ დაზარალებული რაიონების ეკონომიკურ აღდგენას. საქართველო და რუსები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებებს დააფინანსონ აღდგენითი სამუშაოები ამ რაიონში იმ მოცულობით, რომელიც 1993 წლის 14 სექტემბრის მთავრობათაშორისი შეთანხმებით არის დადგენილი. მხარეები გამოიყენებენ მთელ თავიანთ შესაძლებლობებს, რათა ხელი შეუწყონ ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას კონფლიქტის ზონაში, კერძოდ ქალაქ ცხინვალში, აგრეთვე საქართველოს შიდა რაიონებში.

მხარეები მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ გამართული მოლაპარაკება და ამის შედეგად ხელმოწერილი დოკუმენტები ახალ იმპულსს მიანიჭებენ ორი ქვეყნის ურთიერთობას, ხელს შეუწყობენ კეთილმეზობლობის, მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და მეგობრობის განმტკიცებას საქართველოსა და რუსეთის ხალხების ინტერესების შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე

რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარე
ვ. ჩერნომირდინი

ამ ტრიალ ქვეყანაზე

რუსეთის პოლიტიკის მთავარი მიზანი

დოკუმენტში „რუსეთის სტრატეგიული კურსი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მიმართ", რომელიც პრეზიდენტმა ბორის ელცინმა დაამტკიცა, ნათქვამია, რომ რუსეთის პოლიტიკის მთავარი მიზანი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მიმართ არის ისეთი ინტეგრირებული ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, რომელსაც უნარი შესწევს, ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო გაერთიანებაში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეფექტიანი ეკონომიკური თანამშრომლობა თანამეგობრობის ფარგლებში მთავარი ფაქტორია, რომელიც გზას ულობავს ცენტრიდანულ ტენდენციებს თვით რუსეთში.

როგორც ვხედავთ, ოთხ წელზე მეტი დასჭირდა ოფიციალურ მოსკოვს, რომელიც მხარს უჭერდა დეზინტეგრაციულ პროცესებს, როგორც თითქოსდა რუსეთისათვის სასარგებლოს, ამ, შეიძლება ითქვას, უბრალო ჭეშმარიტების აღიარებისათვის, მაგრამ დღემდე ამ მხრივ ცოტა რამ თუ კეთდება. ან თუ კეთდება, ისიც ზოგჯერ იმპერიულ სამოსელშია გახვეული. სწორედ ამან განაპირობა თვით რუსეთის ეკონომიკური დაქვეითების კატასტროფული ტემპები, რაც დღემდე გრძელდება. ოფიციალური მონაცემებით, სამრეწველო წარმოების დაქვეითება რუსეთში მიმდინარე წელს, გასულ წელთან შედარებით ექვსჯერ ნაკლები იქნება და შეადგენს დაახლოებით 4,2 პროცენტს, — მიაჩნიათ ეკონომიკური კონიუნქტურის სამთავრობო ცენტრის ექსპერტებს. პროგნოზის თანახმად, ყველაზე დიდი დაქვეითება მოსალოდნელია მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და სამშენ მასალათა წარმოების სფეროში. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

კანდიდატები საშოვარზე გამოვიდნენ

სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ მაკფოლმა „აიფ"-ის კორესპონდენტთან საუბრისას თქვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში არც ერთ დიასახლისს არ გაუკვირდება, კონგრესმენობის ან თვით პრეზიდენტობის კანდიდატისაგან რომ მიიღოს წერილი თხოვნით, გაიღოს შეწირულება სახიკეთო საქმისათვის. მილიონობით ამერიკელი აძლევს ფულს ასეთ მთხოვნელებს, როგორც წესი, 100-მდე დოლარს. ფირმამ შეიძლება გამოყოს 5 ათასამდე დოლარი, ხოლო სამრეწველო ტუზებმა, ვთქვათ, „აი-ბი-ემმა", რამდენიმე ათეულჯერ მეტი.

ამომრჩევლებისადმი კანდიდატის ყურადღების გამოვლინებაა წვეულებები, რომლებზეც უფასოდ უკრავენ მუსიკოსები. ზოგჯერ მათ ვახშმადაც იწვევენ, და აქ ბილეთის ღირებულება უკვე 1000 დოლარს აღწევს. გულუხვ ქველმოქმედთ კანდიდატი პირადად ესაუბრება, ხოლო ყველაზე გულუხვებს სუფრას უშლის. „ამ 15 წლის წინ მე ერთ კანდიდატს ფულით დავეხმარე და დღემდე ვიღებ მისგან ანგარიშებს — რას აკეთებს იგი კონგრესში", — დასძინა მაკფოლმა.

ახლა ეს რუსეთშიც დაინერგა. 1993 წელს თითქმის ყველა პარტია ფულს ჩუმად აგროვებდა, და მხოლოდ მდიდრებს სთხოვდა. ამჯერად ეს პირველმა არ ითაკილა დაუფარავად ეგორ გაიდარმა. მას, როგორც „აიფ"-მა დაადგინა, სხვებიც მიჰყვნენ, კერძოდ, „ჩვენი სახლი რუსეთია", და ზოგიერთი სხვა პარტია, მიუხედავად მათი იდეოლოგიისა, კანონი, სხვათა შორის, ამას არ კრძალავს.

ათეულობით ათასი გაკოტრდება

უახლოეს წლებში რუსეთში ყოველწლიურად დაფიქსირდება რამდენიმე ათასი გაკოტრება. ეს განაცხადა ვალაუვალობის (გაკოტრება) საკითხთა ფედერალური სამმართველოს დირექტორის მოადგილემ ვიქტორ გოლუბევმა. მისი აზრით, გაკოტრებას არ მოჰყვება მასობრივი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა. სამუშაოს, უწინარეს ყოვლისა, დაკარგავენ არაკომპეტენტური ხელმძღვანელები, ხოლო გაკოტრებულ საწარმოებს სახელმწიფო გამგებლობის შემოღებით ექნებათ შანსი, გადაიქცნენ ეფექტიან საწარმოებად, მუშებმა შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები. მისი თქმით, ამგვარი მაგალითები რუსეთში უკვე ათობითაა. საგულისხმო მოვლენაა, რასაც, როგორც ჩანს, გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ე. წ. გარდამავალ პერიოდში მყოფი სახელმწიფო.

როცა კანონი არ არსებობს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულობებთან ბრძოლის სამმართველოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კუზმა შარენკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უკანონო საბანკო საქმიანობაზე კანონის შემოღება გადაწყვეტდა მოტყუებულ მეანაბრეთა პრობლემას, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თხოვნა ამ თემაზე პარლამენტისადმი უნაყოფოდ მთავრდება. მარტო მიმდინარე წელს დაწყებულია გამოძიება 500 ფირმის მიმართ, რომლებიც მეანაბრეებს შეპირდნენ მოგებას, ყოველწლიურად 400 პროცენტამდე, და უხდიდნენ დივიდენდებს არა მოგებიდან, რაც არ ჰქონდათ, არამედ ახალ-ახალი მეანაბრეების სახსრებიდან.

გაეროს გენერალური მდივნის გადაწყვეტილება

გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს ღალიმ განაცხადა, რომ აპირებს გაიყვანოს გაეროს სამშვიდობო ძალები ბოსნიიდან, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება შექმნილი ვითარების მოწესრიგების საკითხი, და იქ გაგზავნოს ნატოს მრავალეროვნული ძალები. გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ გაეროს არ გააჩნია თავისი ფუნქციების შემდგომი შესრულების არც მატერიალური და არც სხვა საშუალება. ჯერჯერობით მის განცხადებაზე გაეროს წამყვან სახელმწიფოებს რეაქცია არ გამოუხატავთ.

ამრიგად, ბუტროს ღალიმ ფაქტობრივად აღიარა გაეროს სამშვიდობო ძალების ახლანდელი ფუნქციების უკმარისობა — შემოიფარგლოს მხოლოდ მშვიდობის დაცვის პასიური როლით.

რუსეთის მედესანტეები სარაევოში?!

მას შემდეგ, რაც ხუთშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რიჩარდ ჰოლბრუკი შეხვდა სერბიის პრეზიდენტს სლობოდან მილოშევიჩს, ბელგრადში სწრაფად გავრცელდა ცნობები რუსეთის მედესანტეების სარაევოს ირგვლივ შესაძლო განლაგების შესახებ: მედესანტეები გარს უნდა შემოერტყან ქალაქს და დაიცვან მოსახლეობა ცეცხლის დაშენისგან. ამ შეხვედრის შემდეგ, ასევე ხუთშაბათს, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა უილიამ პერიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, რუსეთის სამშვიდობო ძალები შესაძლოა განლაგდეს სარაევოს გარშემო, რუსები შესაძლოა მიიწვიონ მშვიდობის მხარდამჭერის ოპერაციაში. მან საგანგებოდ გაუსვა ხაზი „რუსების მიწვევის" მნიშვნელობას. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების მეთაურმა ანდრია კოზირევმა პარასკევს იტარ-ტასის დიპლომატიურ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ჯერჯერობით „თავისი ამერიკელი კოლეგისაგან არავითარი ოფიციალური წინადადება ბოსნიაში გაეროს ძალების ნატოსა და რუსეთის კონტინგენტით შეცვლის შესახებ არ მიუღია".

კარიკატურისტის თვალით



ნატოელი „მშვიდობისმყოფელნი" ბოსნიაში მშვიდობას ამყარებენ.

„კოპოლო", რომი.

ჟამი საქართველოს გაერთიანებისა



(დასასრული).

ბაგრატ მესამის მოღვაწეობა შეკუმშული ზამბარის თანდათანობით გაშლას გვაგონებს. მან კარგად იცის, რაოდენ გრანდიოზულია პროგრამა და რა ძალას ითხოვს მისი განხორციელება. იცის ბაგრატ მესამემ, რომ უკანდახევა არ შეიძლება, თუმცა მას არ ესწავლება უკანდახევის ფასიც.

საცნაურია, რომ საქართველოს ეს ორი უდიდესი მეფე ერთი დიპლომატიით, პოლიტიკით და სტრატეგიით მოქმედებს. დიპლომატიაც, პოლიტიკაც და სტრატეგიაც სახელმწიფოებრივია, იგი საგანგებო სკოლის შთაბეჭდილებას ქმნის. აქედანაც ჩანს, რომ საქართველოს მიზნებისათვის დათათბირება იოანე მარუშის-ძეს, დავით კურაპალატსა და ბაგრატ მესამეს შორის სისტემატურად ხდებოდა. სამი დევგმირული სულის ადამიანი თითქოს შეუძლებელს შვება. საქართველოს ჰყავს ორი უდიდესი მეფე და ორთავე ცდილობს აღასრულოს საქართველოს საუკუნო ოცნება. თუმცა ერთ ეპიზოდში გამთიშველმა ძალებმა შეძლეს მათი დაპირისპირება. შეძლეს დაპირისპირება, მაგრამ საბედისწერო შეცდომა ვერ დააშვებინეს. მანამდე და მის შემდეგაც კი ორივე მეფე სინქრონულად მართავდა ქვეყნის გაერთიანების პროცესს.

მაგრამ პროცესი ვიღაც ერთმა უნდა განასრულოს. დავით კურაპალატმა შესანიშნავად იცის, რომ ეს მისია ბაგრატს აკისრია და ბაგრატის შემზადება ამ მისიის შესასრულებლად უნიკალური სრულყოფით წარიმართა. ბაგრატი ჩამოყალიბდა შორსმხედველ, მოქნილ დიპლომატად, ელვარე გონების პატრონად, უტეხი ნებისა და გაუზნარავი სულისკვეთების პიროვნებად.

მან იცის, რომ ქართლს ჯერ ფაქტობრივად ვერ განაგებს. მაგრამ დადგა დრო, აღმოსავლეთი საქართველო დასავლეთთან გააერთიანოს!

მან იცის, რომ დიდი მიზნის აღსრულების გზაზე არავის არ აქვს წინააღმდეგობის უფლება! იცის, მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს, გაჰრას და გაიტანოს. მახვილივით მიექნება მოღალატე აზნაურებისაკენ. დიახაც ქართველები არიან, მაგრამ რაკი პირადი ინტერესები წინანდებურად საქვეყნოზე მაღლა დააყენეს, უნდა განადგურდნენ! გაანადგურა კიდეც: დახოცა, გარდახვეწა!

ბაგრატ მესამემ ქართლი დაიპყრა. აღსრულდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იოანე მარუშის-ძის, დავით კურაპალატისა და ბაგრატ მესამის გეგმისა. ბაგრატმა ქართლი კი დაიპყრა, მაგრამ თბილისის სამხრეთით მდებარე ქვეყანა „კერძო ყოვლივე თრიალეთი, მანგლისის ხევი და სკორეთი" ეპყრა ატენის ციხითურთ კლდეკარის ერისთავთ ერისთავს რატის და „არა მორჩილებდა ბაგრატ მეფესა".

შუა გზაზე შეჩერება არ შეიძლებოდა. ეს მხარეც საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს უნდა დამორჩილებოდა. ბაგრატ მესამემ დიდი ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. ეს სამზადისი უმალ გამოიყენეს ვერაგმა ადამიანებმა და მოიწადინეს მტრობა ჩამოეგდოთ დავით კურაპალატსა და ბაგრატ მესამეს შორის. ბაგრატს შენი მოკვლა და ტაოს დასაკუთრება უნდაო, დაარწმუნეს დავით კურაპალატი.

ბაგრატ მესამე თავისი ლაშქრით თრიალეთში შევიდა, კერძოდ, კარუშეთში. დავით კურაპალატმა სუმბატ სომეხთა მეფე და ბაგრატ II (რეგვენი) მოიწვია თავთავიანთი ლაშქრით და ჯავახეთში, კერძოდ, ღლივში გამაგრდა. ვერაგი აზნაურების ჩანაფიქრს თითქოს ხორცი შეესხა. პირველი შეტაკება მოხდა კიდეც.

აი ამ უსაზღვროდ დაძაბულ სიტუაციაში ჩანს, რომ ორთავე მხარეს საქართველოს გაერთიანება სურს და ეს მიზანი მათთვის ყველაფერზე მაღლა დგას. დავით კურაპალატმა, მართალია, კი დაახვედრა ბაგრატ მესამეს რიცხვმრავალი ლაშქარი, მაგრამ არ გადავიდა შეტევაზე. დაელოდა. თანაც რიცხვმრავალი ლაშქრით აგრძნობინა იმდენად არა ის, რომ მზად იყო დიდი ბრძოლისათვის, არამედ უფრო ის, რომ ბრძნულ პოლიტიკას უნდა გადაეწყვიტა ეს დავა. თუკი ეს დავა მართლა იყო მათ შორის. მან „უკარნახა" თავის გაზრდილს, უსაყვარლეს შვილობილს, რა უნდა მოემოქმედა, თუკი მართლა ის გონიერი ბაგრატ მეფე იყო, რასაც ჰვრეტდა მასში დავით კურაპალატი.

საქმე იმაში გახლავთ, რომ არავინ იცის, რა „ედვა გულს" ბაგრატ მესამეს. მხოლოდ რატის ალაგმვა და ქართლის მთლიანი დამორჩილება, თუ მოხუცებული გამზრდელის, დიდი ტაოს მფლობელის, დავით კურაპალატის გადაყენება და მთელი საქართველოს გაერთიანება. იქნებ, ახალგაზრდა მეფემ გული დააჯერა, რომ ჟამი დამდგარიყო უკვე და მცირეოდენი იძულება საიმისოდ, რათა დავით კურაპალატი ტახტს გაცლოდა და ამ „შეწირვით" საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ოცნება აღსრულებულიყო, საჭიროდ მიაჩნდა კიდეც. ამაში რა უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. ბაგრატის მთელმა შემდგომმა მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ უსინდისობის მარცვალიც კი არ იდო მის სულში. უბრალოდ, საქართველოს გაერთიანების ზემოცანამ შესაძლოა ჟამი მოახლოებულად ამცნო და ნაბიჯის გადადგმა მოიწადინა. დიდი ლაშქრით მივიდა თრიალეთში ბაგრატ მესამე. რატის დამორჩილებას ამოდენა ლაშქარი თითქოს არც ჰჭირდებოდა!..

დავით კურაპალატიც დიდი ლაშქრით დახვდა. შეუცდომლად შეაფასა ბაგრატ მესამემ შექმნილი სიტუაცია და მოიქცა ისე, როგორც შეეძლო მოქცეულიყო დიდ მეფეს. მოიქცა ისე, რომ დავით კურაპალატი განაიარაღა! ეს აშკარად ჩანს. ბაგრატ მესამე, რომლის მამა გურგენი პირველი შეტაკების შემდეგ ძლეული გააბრუნეს უკან, განრისხებული და წონასწორობადაკარგული უნდა ყოფილიყო. სულმოკლეობის შემთხვევაში უნდა შებრძოლებოდა კიდეც.

დაიძაბა საქართველოს გულისყური. მოზიდულ ლარს დაემგვანა ორივე ლაშქარი. საშინელების მოლოდინით დაინაღმა სივრცე. საქართველო ფეხის წვერებზე დადგა.

ჩვენს წინაშე იბადება უმაღლესი ჟამი საქართველოს ისტორიისა... ბაგრატ მესამემ შეაჩერა თავისი ლაშქარი, თავად დაიძრა გამზრდელისაკენ, მივიდა და აუხსნა, რატის დასამორჩილებლად მოვსულვარ თრიალეთს, არც მიფიქრია შენზე გამოლაშქრება. მხოლოდ გაუგებრობაა ჩვენს შორის და შემინდე ამ გაუგებრობისთვისო. თავის დანაშაულად აღიარა ეს გაუგებრობა.

მას შეჰყურებდა გამზრდელი —დავით კურაპალატი, ბრძენი, მრავალჭირგადანახადი, ძალმოსილი და გამოცდილი. შეჰყურებდა და აღფრთოვანებული იყო. აღფრთოვანებული იყო გაზრდილის გენიალობით, გაიხარა რომ არ მოტყუვდა არჩევანში, რომ საქართველოს გაერთიანების საქმე ღირსეულთა შორის ღირსეულს მიანდო...

„ხოლო მან გაგზავნა და უბრძანა ესრეთ: „მითხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვსცან დასტური, რომელ უბრალო ხარ; არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე, ვითარცა სახედ გწადიან".

საქართველოს ისტორიის ამ ეპიზოდში მარტოოდენ ორი ბრძენი მეფის შეხვედრა არ შემდგარა. აქ სრულად გამჟღავნდა ქვეყნის სულისკვეთება —ერთიანობის, სიყვარულის, განუყრელობის სულისკვეთება, სრულად გამოვლინდა ეროვნული თვითშეგნება, რაც მანამდეც აკლდა ჩვენს ცხოვრებას და მერეც არაერთგზის დაკლებია. გამჟღავნდა მდგომარეობა ეროვნული სულისა, რომელიც გამოაშუქენდა თავის უპირველეს წახნაგებში— ბაგრატ მესამესა და დავით კურაპალატში უსიტყვო ურთიერთგაგებას.

ბაგრატ მესამემ დავით კურაპალატის დიდსულოვან საქციელსა და პასუხში ამოიკითხა რომ ტაო ისედაც გაერთიანებული იყო დიდ საქართველოსთან. ხვალ თუ ზეგ მიიცვლებოდა მოხუცი მეფე და ბუნებრივად ერთიანდებოდა საქართველო. ტაო ხომ თავად უძღვებოდა ამ ერთიანობის პროცესს. ტაოზე ძალდატანება არ იყო საჭირო. ბაგრატ მესამე მიხვდა, რომ დავით კურაპალატი ბარიერი არ იყო ამ გზაზე, რომ აჩქარდა ოდნავ, თუმცა ამ აჩქარებამ მისი გენიალობაც წარმოაჩინა: უმალ იგრძნო თავისი აჩქარებაც და იმგვარი ნაბიჯი გადადგა, რამაც გასაღები მოუნახა საქართველოს მერმინდელ ისტორიაში არაერთ პირსისხლიან კონფლიქტს. ამ დღეს, როდესაც ბაგრატ მესამე დავით კურაპალატის წინაშე შენდობის თხოვნით წარსდგა, საქართველო გაერთიანდა. სისხლსა და სულში, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სივრცეებში საქართველო უკვე გაერთიანებულიყო. თავად ბაგრატმაც ამ დღეს მოიპოვა ამ ნაბიჯით ყველაზე დიდი გამარჯვება.

„მაშინ წარმოვიდა სიხარულითა სავსე, და წარვიდა მას ჟამსა აფხაზეთადვე, რათა ვერ უგრძნას რატი და უგრძნეულად მივიდეს ოდეს არა გონებდეს".

„სიხარულითა სავსე წარმოვიდაო" — დააკვირდით ამ სიხარულს. ამ სიხარულით არის სავსე მთელი მაშინდელი საქართველო. ვფიქრობ, არ ჰყოფდება ახსნა იმ გარემოებას, რომ ეს არ გახლავთ მარტოოდენ რატის დასამორჩილებლად მიღებული უფლებით გამოწვეული სიხარული.

ყველა მიზეზი, ყველა პირობა, ყველა თვისება, ყველა ფაზა თავს იყრიდა ბაგრატ მესამის დროსა და სივრცეში. თვით იდგა ამ დროსა და სივრცეში განგებისაგან გამორჩეული, საქართველოს უკეთეს მეფეთა ღირსი მემკვიდრე და გრძნობდა, ხედავდა. ცნობდა დამდგარ ჟამს და თავის თავს, როგორც „ჟამის იმედს" (ბარათაშვილი).

ბაგრატ მესამე ხედავდა მის წინაშე გადაშლილ დიდ საჭადრაკო დაფას და მისი მზერა მოიცავდა ყველა მოსალოდნელ სვლას ამ დაფაზე. მისი გონების მზერით იყო გარემოცული საქართველოს ორგანიზმი და გარს მომდგარი მოყვრისა და მტრის სასიცოცხლო წერტილები.

იგი ფლობდა თავის დროს და სივრცეს. არ ჩქარობდა, არც აგვიანებდა. პოლიტიკაში კი უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, როდესაც არ ჩქარობ და არც აგვიანებ.

დავით კურაპალატის გარდაცვალებისთანავე ბიზანტიის კეისარი დაიძრა ტაოსაკენ დაპირებული „სამკვიდროს" მასაღებად. იქითკენ გაეშურნენ ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამამისი გურგენი, რომელიც ქართლის მეფედ ითვლებოდა. კეისარმა გურგენს მაგისტროსობა მიანიჭა, ხოლო ბაგრატს — კურაპალატობა. ამით თავისი უფლებამოსილება გაავრცელა ტაოზე. ხოლო მამასა და შვილს შორის მტრობის მარცვალი ჩააგდო.

ბაგრატ მეფე არ აჩქარდა და არა იმიტომ რომ მის ძლევამოსილ ლაშქარს დასუსტებული ბიზანტიის ლაშქრის გამკლავება არ შეეძლო იმხანად. საქართველოს გაერთიანების საქმე შეიძლებოდა ჩაშლილიყო, თუკი სასწორზე შეაგდებდა ბრძოლის გამართვით მას. დავით კურაპალატს პირობა ჰქონდა გაცემული და ბასილი კეისრის მხარეზე სიმართლე არ უნდა გადახრილიყო! გარკვეული დროით ბიზანტიას უფლებები ტაოზე უნდა ეცნო. რამდენიმე წლის შემდეგ გურგენ მეფე — მამა ბაგრატისა გარდაიცვალა და ბაგრატ მეფე დაეუფლა ტაოს, იგი იყო მემკვიდრე დავით კურაპალატისა და თავისთავად გურგენისა.

ტაოს პრობლემა ასე მომწიფდა, ორგანულად, ბუნებრივად; ასე გადაიქცა ტაო გაერთიანებული საქართველოს გულისგულად.

გაერთიანებას ყოველთვის ჰყავს დიდი მოწინააღმდეგენი. გაერთიანება თავის „დამდაბლებას" და რაღაც დიადისადმი მორჩილებას გულისხმობს. მორჩილება ქვეყნის მძლავრ ერთეულებს არ სიამოვნებთ.

საქართველოს მეფეების უმთავრესი პრობლემა ამ ერთეულების დამორჩილება-დაყოლიება იყო ოდითგანვე.

ბაგრატ მესამე თანმიმდევრულად აგრძელებს საქართველოს აკინძვის საშვილიშვილო საქმეს. იგი უმძაფრესად გრძნობს და განიცდის საქართველოს კუთვნილ სივრცეს. ახალი ნახტომისათვის ემზადება.

ბაგრატ მესამის მთავარი იარაღი გადამჭრელი ზომის მიღებაა. მიზანი ავალებს ამას. მისი პიროვნული ხასიათი შეესატყვისება საქართველოს გაერთიანების მიზანს. რასაც მიზანი ითხოვს, იმას აკეთებს.

საქართველოს გაერთიანების მიზანი ითხოვს დაიხიოს უკან?— იხევს უკან! (შეხვედრა დავით კურაპალატთან), მიზანი ითხოვს დააყოვნოს პროცესი? —აყოვნებს (დამოკიდებულება ბასილი კეისრის პრეტენზიებთან). მიზანი ითხოვს „დაიპყროს" ქართლი? გადმოდის და დაუნდობლად ანადგურებს მოღალატე დიდგვაროვან აზნაურებს. კლდეკარის ერისთავი უნდა მორჩილებდეს? იმორჩილებს! ტაო უნდა დაიკავოს? იკავებს!

იწყება უფრო ფართო მასშტაბების ოპერაციები. იგი გრძნობს, რომ იზრდება მისი როლი, რეალური ხდება მიზანი.

ქვეყანას მეფე მხოლოდ ერთგული ხალხით თუ მართავს! იცის ეს ბაგრატ მესამემ, გადმოდის დასავლეთ საქართველოში და ურჩებს ადგილზე არ ტოვებს. სულ ერთგულებს აღამაღლებს.

დავით კურაპალატის მსგავსად ლაშქარი „განამრავლა". აქამდე არ ენახა საქართველოს ესოდენ „განმრავლებული" ლაშქარი. „განამრავლა ლაშქარი თავისი უმეტეს ყოვლისა ჟამისა". ყველა დროის საქართველოს ლაშქარი გადაფარა მისმა ლაშქრის სიმრავლემ.

აი, ამ ლაშქრით მოდის ბაგრატ მესამე აღმოსავლეთ საქართველოში. განმდგარია კახეთი და ჰერეთი. ქვეყნის გაერთიანების მიზანი ვერც ამას მოითმენს. გადამჭრელი ზომაა საჭირო.

კახეთსა და ჰერეთს საქართველოს ნება წამლეკავი ნიაღვარივით მიაწყდა. „ყოვლითა სპითა" მიადგა ბაგრატ მეფე ამ ქვეყნებს და ვერაფერი ვერ დაუდგა ამჯერადაც წინ. „ძალითა მიუწდომელითა" ორი წლის განმავლობაში „აღიღო" კახეთის ყველა ციხე.

წამოიმართა საქართველო გარემომცველი სამყაროს თვალწინ მთელი სისრულით. მისი აღნაგობა, სიდიადე, ძალა, შესაძლებლობა აქამდე სრულად არავინ იცოდა, რადგან მთელი სხეულით წამომართული საქართველო— ქვეყანა აქამდე არავის უნახავს. ხედავდნენ ნაწილ-ნაწილ, ფენაფენად, დასავლეთს, აღმოსავლეთს, სამხრეთს, ჩრდილოეთს; ხედავდნენ სამხრეთ-დასავლეთს, სამხრეთ-აღმოსავლეთს, ჩრდილო-აღმოსავლეთს... მაგრამ არ ენახათ მთლიანობაში, არავის ეხილა, როგორც ერთიანი ორგანიზმი, მასშტაბური, თავის თავის მფლობელი!

აქეთკენ მიჰყავდა მოვლენები ბაგრატ მესამეს და თუ ამ მონოლითურობის მიღწევის გზაზე ქართველთა ხელით დახოცილი ქართველების კვნესისას ქვეყანას სახსრები სტკიოდა, წელში გამართვის ტკივილი იყო იგი.

უკან არ უნდა დაეხია. ეს იყო ბაგრატ მესამის გადაწყვეტილება. რაც შეიძლება ნაკლები სისხლი რომ დაღვრილიყო ქართველი კაცისა, საამისოდ „ძალითა მიუწდომელითა" მოძრაობდა. „ძალითა მიუწდომელითა" რომ ევლო და ემოძრავა, ურიცხვი ცხენი, ჯორი, დიდძალი სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი და იარაღი იყო საჭირო. ყველაფერი მომარაგებული ჰქონდა და გადალახავდა „ძალითა მიუწდომელითა", წინააღმდეგობას.

გაერთიანებამ და ძლევამოსილებამ თავისი სიტყვა თქვა. საქართველოს გავლენა გადაწვდა კავკასიას, ახლო აღმოსავლეთს, ბიზანტიას.

ბედნიერებაა, როდესაც დიდი მეფე გამოავლენს ისტორიის და ერის წინაშე ღვთისაგან ბოძებული მისიის შეგრძნებას, ასეთი მეფე მთელს თავის ცხოვრებას განიხილავს და ჭვრეტს მთლიანობაში, როგორც ისტორიული პროცესის დეტალს. იგი ამცრობს თავის მნიშვნელობას, იმდაბლებს თავს, რათა სრული თვითგაღებით ემსახუროს ღვთისგან დაკისრებულ მისიას. მისია უმძიმესი და მარადიული ტვირთია. მას მთელი ცხოვრება უნდა ზიდოს. ყოველ მეფეს არ ეკისრება იგი. რიგით მეფეებს მეფური მოვალეობანი აკისრიათ. ან ავად ასრულებენ ან კარგად. მაგრამ დროსა და სივრცეში იქმნება მდგომარეობა, რის წარმართვასაც გამორჩეული მისიით მოვლენილი მეფენი თუ შეიძლებენ. აი, ისინი არიან ცოდონი. ეს უმძიმესი ტვირთი-მისია მათ უნდა ზიდონ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. ერთი წამითაც ვერ გამოეცლებიან თავიანთ ტვირთს, ვერ დაუშვებენ სიმძიმეს ძირს. მისიამ არ იცის მოსვენება, იგი გულივით შეუსვენებლივ მუშაობს.

ბაგრატ მესამე უპირველესი ქრისტიანი იყო, ქრისტიანობისთვის თავდადებული. საქართველოს გაერთიანების გზაზე დაბრკოლებად იყვნენ აღმართულნი სუმბატ და გურგენ ბაგრატიონები, ძმები, რომლებიც კლარჯეთში მეფობდნენ. ტახტს ვერ თმობდნენ, ისტორიული პროცესის საბედნიერო სვლას ვერ გრძნობდნენ.

პრეტენდენტების არსებობა დაშლის მუდმივ საფრთხეს წარმოშობდა. ბაგრატ მესამე უპირველესი ქრისტიანი გახლდათ-მეთქი. ამ უპირველესმა ქრისტიანმა დაინახა, რომ ცოდვა უნდა ეტვირთა. პრეტენდენტები — სუმბატ და გურგენ მათი შვილებითურთ უნდა მოესპო. დიდი ცოდვაა ამის გაკეთება! მიზანი ათასგზის დიდი იყო, მისიის კარნახი ათასგზის მძაფრი! სუმბატ და გურგენ და შვილნი მათნი ბაგრატს არ გაუწირავს, საქართველოს ისტორიული პროცესის კანონზომიერებამ შეიწირა. ბაგრატის დამსახურება ის გახლავთ, უკან დახევა და უკან მოხედვა რომ არ უფიქრია. მან უნდა მოიშოროს პრეტენდენტები. მუდმივი საფრთხე უნდა მოხსნას, გაერთიანებულ საქართველოს მეფეს მემკვიდრე ჰყავს და მოცილეობაში არ უნდა გაილიოს საქართველოს დრო. ამიტომ იდო ცოდვა კისრად. ბაგრატიონთა დინასტიის ერთი მიმართულება მისცა — გაერთიანებული საქართველო გახლდათ ის მიმართულება, ამ მაგისტრალურ ხაზზე უნდა გამართულიყო დინასტიის გენი. აქტი, რომელიც მან ფანასკერტის ციხეში განახორციელა, ისეთი შეუვალი, ისეთი უკომპრომისოა, რომ იშვიათი მაგალითების რიგს ეკუთვნის. ყველაფერი ამოდიოდა მისიის მიზანდასახულობიდან, ბაგრატ მესამე მტკიცედ მიუყვებოდა მის კარნახს.

ნიშანდობლივია, რომ წლების შემდეგ ბაგრატ მესამე ამავე ფანასკერტის ციხეში გარდაიცვალა, სადაც ალაგმა გაერთიანების გზაზე გაზიდული ძმები. რას ნიშნავს ეს? მიზღო? თუნდაც ასე იყოს, ქრისტიან მეფეზე უკეთ ვის ეცოდინებოდა, რომ ცოდვისათვის უსათუოდ მიეზღოდა, მაგრამ ამ გზითაც ეწირებოდა ერის საქმეს. ცოდვა უნდა ეტვირთა, თუკი მისიის ასრულება ეწადა. უკან დახევა არ შეიძლებოდა.

ღმერთმა კი ბედიაში დაასვენა — ზვიად სპასალარმა ტაოდან ბედიაში გადაასვენა მისი ცხედარი. ღმერთზე უკეთ ვინ უწყოდა ბაგრატ მესამის ფასი. ბედიის ეკლესია მისი ჯილდო იყო. ჯილდო რომ იყო აქედანაც ჩანს: ტაოში (ფანასკერტს) გარდაცვლილი ბაგრატ მესამის ცხედარი ამოდენა ტერიტორიაზე გადმოატარეს და დასავლეთ საქართველოში — ბედიაში დაკრძალეს. მან დაიმსახურა სიკვდილის შემდეგაც ასეთი მასშტაბებით ევლო სამუდამო განსასვენებლისაკენ.

საბედნიეროდ, ჯერ კიდევ დგანან გიგანტური ტაძრები და ეკლესიები, მონასტრები და ციხესიმაგრენი ნიშნად იმისა, რომ ათი საუკუნის წინათ საქართველო სხვა ქვეყანა იყო.

დღეს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, უსასრულო ცაში ატყორცნილი კედლებით.

ბაგრატის ტაძარი ბაგრატის საქართველოს მოდელია. წაიკითხავთ ამ მოდელს, წაიკითხავთ ბაგრატის საქართველოს წყობას.

ვერ გეტყვით რამდენ მილიონზე უნდა გადამრავლდეს ბაგრატის ტაძრის ზომა, რომ ბაგრატის საქართველოს სახელმწიფოებრივი მოცულობა მივიღოთ. ის კი მწამს, რომ ბაგრატის ტაძრის ანატომია გეომეტრიული და მათემატიკური განზომილებით ზუსტად შეესატყვისება ბაგრატის საქართველოს ანატომიას.

ოშკი, ხახული, ბანა, ბაგრატი, ბედია, სვეტიცხოველი, ალავერდი, გელათი და მათი ბადალთ დიდი სახელმწიფოებრივი სული აშენებდა. ეს ხდებოდა სხვადასხვა დროს, მაგრამ ვიცით, რომ ეს სხვადასხვა დრო მე-10, მე-11, მე-12 საუკუნეების წრეშია მოქცეული. დიდი საქართველოც ამ საუკუნეებში გვქონდა.

დიდ ცივილიზაციებს დიდი ტაძრები არ უკვირთ. ეს მათი გამოვლენაა. ასე ვლინდებოდნენ დიდი ცივილიზაციები სხვადასხვა დროს შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში, რომში...

საქართველო დიდი ცივილიზაციისაკენ მიიკვლევდა გზას. ბაგრატის ტაძარი ნიშანსვეტია ამ გზაზე. სხვა საკითხია, დაცალდა თუ არა საქართველოს დაესრულებინა დიდი ცივილიზაციის პროცესი და გატოლებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ცივილიზაციებს. მაგრამ ფაქტია, რომ ათასი წლის წინათ ხუროთმოძღვრებაში გამოვლენილი მისი პოტენცია სერიოზულ განაცხადს აკეთებდა.

ბაგრატის ტაძარი ბაგრატ მეფეს არ აუგია მეფური წადილით — თავი მოეწონებინა შთამომავლობის წინაშე. ეს ტაძარი მეფისა და მისი ერის მოთხოვნილებამ ააგო. ერის სული იყო გაზრდილი, ამაღლებული, განმტკიცებული, იგი სალ კლდესავით შეიკრა. ასეთ სულს გაეზარდა მოთხოვნილება შესატყვისი ტაძრის აგებისა. გაზრდილი სული ტაძრის გაზრდილ სივრცეს ითხოვდა...

ბაგრატის ტაძარი დღეს დარღვეული საქართველოს ხატია. მაგრამ არსებობს მისი გასრულებული მაკეტიც, ხუროთმოძღვართათვის ძნელი არ არის დაზუსტება იმისა, თუ როგორი იქნებოდა იგი გასრულებული სახით! საქმე გვაქვს ღვთაებრივ სისადავესთან არქიტექტურაში. ჩვენ ამჯერად ამ გასრულებული ხატის სივრცე, მასშტაბები და გრანდიოზულობა გვაინტერესებს, მისი ხელთუქმნელობა, კედლების სიმაღლე, ჩუქურთმების სიდიადე, სვეტების სიმსხო და მსხვილი სვეტების ტაძრის სივრცეში გაწოვილი ჰაეროვნება. ძველის ხელოვნება გენიოსი ხუროთმოძღვრის ნიჭზე მიგვითითებს. მაგრამ რაც ამ დიდი ხელოვნებით გასრულებულ ქმნილებაშია მოქცეული, ეს უკვე ყველა ჩვენთაგანის ფიქრის საგანი უნდა იყოს. საქართველოს გრანდიოზულმა სულმა თავი მოიქცია ბაგრატის ტაძარში.

ტაძარზე დაკვირვებისას სიხარულით აღვავსებთ ამ გრანდიოზული ქმნილების სიმკვრივის განცდა. მთელი ტაძარი ალმასის სიმკვრივისაა. ტაძრის ყველა ნაწილი — კარიბჭე, შესასვლელი, გასასვლელი, სარკმლები, კედლები, გუმბათი მოქსოვილსა ჰგავს — არსად არ არის სუსტი. მარადიული დაურღვევლობის განცდა გეუფლებათ. შინაგანი სიმტკიცე უხილავ სალტესავით კრავს და ანივთებს ტაძარს. ეს სიმტკიცე შენების საიდუმლოს წყალობით გარედან კი არ არის შიგნით მოქცეული, შიგნიდან გამოესხივება გარეთ. საკმარისია, დაუკვირდე მაკეტის ხაზებს, რომ უცნაური განცდა დაგეუფლებათ; არ გჯერათ ტაძრის დანგრევა, ნგრევის შესაძლებლობა. არ უშვებს ფიქრი ასეთ რამეს. აკი რუსთა არტილერიას დიდი ძალისხმევა დაჭირდა კიდეც მის დასაზიანებლად. თავად კი დგას დროსა და სივრცეში და გვკარნახობს, რომ საქართველოს მთლიანობა და დაურღვევლობა მიუღწეველი იქნება მანამ, სანამ არ აღსდგება ის სული, რამაც ბაგრატის ტაძარი ააგო ერთ დროს.

ასეთი მატერიალური საგნები სულის სიღრმიდან იბადებიან. ბაგრატის ტაძარი დიდი საქართველოს სულიდან არის შობილი.

ააგო იგი ბაგრატმა ქუთაისში. მისი სახელმწიფოებრივი მმართველობის ეპიცენტრი ქუთაისი გახლდათ. ქუთაისს არც მანამდე აკლდა როლი და მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. მაგრამ ბაგრატის მოღვაწეობა და ამ მოღვაწეობის გვირგვინი —ბაგრატის ტაძარი განუსაზღვრელ ფუნქციას სძენდა ქუთაისს. სვებედნიერი აღმოჩნდა ეს ფუნქცია. საქართველოს გაერთიანების დიადი გეგმები ქუთაისში იბადებოდა. დიდი პოლიტიკური ვნებები, სახელმწიფოებრივი მოძრაობა, რიტმი ქუთაისს ზნესრული მისწრაფებებით ავსებდა.

ჯანსუღ ღვინჯილია.

ჩვენებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი მარდი,
რომელსაც კარგად იცნობენ დასავლეთში

იცნობენ, ენდობიან **შალვა მარდის (მორდეხაშვილს)** და მიდიან სამკურნალოდ. მაგრამ პაციენტების ასეთი დამოკიდებულება კოლეგებთან კონფლიქტის „უშრეტი წყაროა".

— **ოჯახით** მოვიდა ერთი და ძაღლიც მოიყვანა. რაშია საქმე, ვინაა პაციენტი-მეთქი? წაიღე, რამდენიც გინდა, მიპასუხეს, ოღონდ სურათი შენთან ერთად გადაგვეღებინეო, — მიყვება შალვა მარდი. — ეს არის. არის შური და შურიც აქედან გამომდინარე. ასეთია ნორმალური ადამიანის ფუნქცია, რომელსაც ვერ შეცვლით. ერთი საშუალო ექიმი ვარ, მეტი არაფერი, მაგრამ რითა ვარ კარგი, ამასაც გეტყვით, — კაი ადამიანი ვარ და ეს არის ჩემი საიდუმლო.

საქართველოდან გამომყვა ქართული ტრადიციები: სტუმართმოყვარეობა, ზრდილობა, მშობლებისადმი პატივისცემა, მეგობრის და, საერთოდ, ადამიანის სიყვარული. ყველაფერი ეს სრულად გამომადგა, სრულად გამოვიყენე აქაურ ურთიერთობაში და მეგობრები რომ გავიჩინე, სწორედ, ამის „ბრალია".

— ამბობენ, რომ მათ შორის არის ანდრეი კოზირევი...

— ადამიანური, მეგობრული დამოკიდებულება მხოლოდ. არავითარი პოლიტიკა. მაგრამ მარტო კოზირევთან კი არა, სხვებთანაც: კარტერთან, რეიგანთან, ტიტოც კი იყო ჩემი მეგობარი. ახლა ვლაპარაკობ, მაშინ ხმას არ ვიღებდი, როდესაც პრეზიდენტები იყვნენ.

ისრაელის ხელმძღვანელობაშიც ჩემი მეგობრები არიან.

რატომ? ექიმი ვიყავი მათი, პირველ რიგში, მკურნალი და შემდეგ მეგობარი, მეტი არაფერი.

ერთადერთხელ შევიჭერი პოლიტიკაში ისრაელსა და არაბულ ქვეყნების ურთიერთობის რეგულირების დროს. პირველი ნაბიჯი აქ, ამ სახლში გადაიდგა. ბევრ შეიხს ვიცნობ — საუდის არაბეთიდან, ეგვიპტიდან, კუვეიტიდან. მუბარაქის ოჯახში დიდი წვეულება არის მალე და დაპატიჟებული ვარ.

იცით, რატომ მოდიან ჩემთან? იმიტომ, რომ თავისუფლად იყვნენ, იმიტომ, რომ თავი ადამიანად იგრძნონ და არა პოლიტიკოსად. აქ რომ შემოვლენ, თვითონ გაჭვევენებ მწვადებს...

ეს ტრადიცია ბატონმა შალვამ ჩვენი დელეგაციის სტუმრობის დროსაც დაიცვა. მართალია, ქართველთაგან დიდი ენთუზიაზმი არავის გამოუხატავს ამის გამო, ალბათ, იმიტომ, რომ [illegible] არც ერთს, — მწვადის შეწვა ყველაზე მორიდებულმა და დისციპლინებულმა დავით კოდუამ იკისრა. გითხრათ, ბევრი იწვალით, არ ვიქნები მართალი, რადგან მთელი მისი მზარეულობა ხუხართან დგომით და დრო და დრო შამფურის ტრიალით ამოიწურა. მწვადი კი მართლაც კარგი იყო.

— თქვენ გქონდათ შესაძლებლობა შეგხვედროდით საქართველოს ყოფილ და ამჟამინდელ ხელისუფლების წარმომადგენლებს. საგარეო საქმეთა მინისტრებზე მინდა გკითხოთ...

— პირადად ვმეგობრობდი ხოშტარიასთან და ვმეგობრობ ალექსანდრე ჩიკვაიძესთან. სადაც თქვენ ახლა ზიხართ, მანდ იჯდა შარშან, გოგისთან — თავის მოადგილესთან ერთად.

ეს არის, როგორც დღე და ღამე. ისეთი განათლებული, ყოველმხრივ ერუდირებული და სწრაფად მოაზროვნე, როგორიც ჩიკვაიძეა, ბევრი არ არის. მერე, ჭადრაკში გამანადგურა.

— როგორი ანგარიშით?

— მე რომ ნული ვიყავი, ვიცი...

ხოშტარიას ბევრი გეგმა ჰქონდა, საინტერესოც, მაგრამ ვერ განახორციელა.

— ბატონ ედუარდს თუ შეხვედრიხართ?

— პირადად არა. ჟენევაში მიღებაზე — კი. ამას წინათ წერილი მივწერე ალეკო შენგელიას, რომელმაც „ქუთაისში" ჩემი ერთი მოთხრობა დაბეჭდა და ერთი მილიონი კუპონი ჰონორარი გამომიგზავნა. ამ ერთ მილიონზე პატარა მოთხრობა დავწერე და ეს წაუკითხავს ბატონ ედუარდს. ბევრი უცინია.

მოთხრობა კი იმაზეა, როგორ შევიტანე შვეიცარიის ბანკში ერთი მილიონი კუპონი და ვთხოვე მილიონ დოლარზე გადაეცვალათ. დღემდე ფიქრობენ — როგორ შეასრულონ კლიენტის ეს დავალება. თუ არ გადამიცვლით, დამიბრუნეთ-მეთქი, მოვითხოვე. ვერც ეს გადაუწყვეტიათ, წაგებულები არ დავრჩეთო.

— არ გიბრუნებენ?

— შემპირდნენ.

— თქვენ გჯერათ, რომ საქართველო დაძლევს ამ სირთულეებს, ახლა რომ განიცდის?

— დრო უნდა. რატომ იცი? საქართველოს მენტალიტეტი უნდა გამოიცვალოს. ისე უნდა შეიცვალოს აზროვნება, რომ ხალხი გაერთიანდეს. ერთ რამეში დამერწმუნეთ, თუ ქართველებს ერთი აზრი ექნებათ, ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა, ძალიან სწრაფად ამოქმედდება ის პოტენციური შესაძლებლობა, რომელიც საქართველოს ბუნებრივად აქვს. თუ მშვიდობა იქნა, საქართველო 5 წელიწადში შვეიცარიაზე ნაკლები არ იქნება.

თუ ისრაელმა, რომელსაც ათასობით რაკეტა აქვს დამიზნებული არაბულ გარემოცვაში, გახსოვთ ხომ — ამერიკასა და ერაყს შორის ომი იყო და ისრაელს ბომბავდნენ... თუ ამ ქვეყანამ, რომელსაც არც მიწა აქვს, არც წყალი, არც ენერგიის ბუნებრივი წყაროები, ყველაფერი მწვანესა და შადრევნებში მოაქცია და მთებია სურსათის, საქართველომ, რომელსაც ყველაფერი გააჩნია, რატომ არ უნდა მიაღწიოს ამასვე? ისეთი ნიჭიერი ხალხი, როგორიც თქვენ ხართ, არ არსებობს.

— თქვენც...

— ქართველები რომ ხართ.., და ჩვენც. მე გეტყვით, საქართველოს რა ღუპავს. დემოკრატია! თუ ასე გაგრძელდა, თქვენ გახდებით დემოკრატიის მსხვერპლი. იმის, რაც დემოკრატია გგონიათ — ყველაფრის უფლება გინდათ გქონდეთ. ძარცვა, კვლა, ქურდობა. ხელისუფლება მაინც დიქტატური უნდა იყოს... ხალხმა პატარა კი უნდა იგრძნოს, რომ მთავრობა, პოლიცია, ჯარი არსებობს, რელიგია არსებობს, ბოლოს და ბოლოს.

მრავალპარტიანობაც ძალიან ცუდია. პირდაპირ გეუბნებით. აქ, შვეიცარიაში ერთი პარტიაა, დანარჩენი ფორმალურია ყველა. სხვა ქვეყნებშიც ასეა. ერთი-ორი — მთავარი, დანარჩენი — „ვესტავკა".

ყოველი მეორე ადამიანი აქ პოლიციელია. პოლიციასთან აქვს კავშირი — აგენტია. ამით არსებობს ეს ქვეყანა. რატომ? იმიტომ რომ ერთმანეთს ყარაულობენ. შენი ყველა ნაბიჯი იციან. რას იზამ, ასეა აუცილებელი.

ადამიანი თავიდან კეთილი არ იბადება, დაბადებიდანვე ბოროტია. აღზრდა სჭირდება, კონტროლი, ეს ბოროტება სიკეთედ რომ გარდაიქმნას. ბოროტება არ უნდა მოკლა, სიკეთედ უნდა აქციო.

— ერთმანეთის მოყურადე ხალხის გარემოცვაში რომ მოხვდით, მოერგეთ აქაურობას, ცხოვრების აქაურ წესს?

— მე ვერ მოვერგები. ჩემი შვილები — კი. დავრჩი ძველებურად პურმარილიანი, მსმელი, მოვერგე სამსახურში, ცხოვრებაში — ვერა.

მაგრამ უნდა დაუგდო ყური, ბევრ რამეს გასწავლიან. მარტო შენს ჭკუაზე ვერ ივლი. მე რომ დავდიოდი, ბევრი რამ წავაგე.

— რა წააგეთ?

— ვერ გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც მინდოდა..

— და მეტი შრომა დაგჭირდათ...

— ესაა საქმე: ათასი დაბრკოლება დამატებით შემექმნა გადასალახავი. ხომ იცი, რა ქვეყანაში ჩახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო. იძულებული ხარ... მაგრამ.

— ბატონო შალვა, მაინც გახსენდებათ საქართველო..

— ძალიან.

— ყველაზე მეტად რა გენატრებათ?

— დედის საფლავი. სანამ დედის საფლავს არ ვნახავ, ისე არ მოვკვდები.

ორი მიზანი მაქვს ჩამოსვლისათვის: დედის საფლავი მინდა ვნახო, ეს ერთი, ძალიან მადლობელი ვარ შაშიაშვილის, ქუთაისის მერი რომ არის...

— შაშიაშვილი.

— შაშიაშვილის: ძალიან პატივს მცემს — სახლს მინახავს მამაჩემისას. დიდი კაცია! და მეორე მიზანი, — სვანეთი და ლეჩხუმი მინდა ვნახო. თუ რამე წვლილის შეტანას შევძლებ ამ ორი კუთხის განვითარებაში, ყოველთვის მზად ვარ.

ჩემი ხნის ხალხი, ვისთანაც ვმეგობრობდი ან ვამხანაგობდი, ძალიან ცოტა დარჩა ცოცხალი. „არ ვიცი, რა დაემართათ. ალბათ, ვერ აიტანეს ის ყველაფერი, რაც გადახდათ. აღარ ვიცი, ვინ მიცნობს და ვის ვიცნობ.

შალვა მორდეხაშვილი ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწევა, თუმცა ლიტერატორობაზე პრეტენზიას არ აცხადებს, ექიმის ჩანაწერებიაო. წიგნს, რომელიც საბოლოო კორექტირებისთვის მაგიდაზე ედო, ჰქვია „ისტორია სიცილისა და ცრემლების მთის". ეს მოთხრობაა ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაზე. ქართულად ალეკო შენგელიას უთარგმნია.

ამ 500 გვერდიან წიგნში ჩართული აქვს საკუთარი დღიურებები, საუბრები — კახელი, ძველი ებრაული ფილოსოფია.

არის აქ ფოტო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან ერთად გადაღებული.

— მაშინ, — იხსენებს, — საუბარი გვქონდა ისრაელში ქართული მონასტრის გამოსყიდვაზე. რუსთაველის სახელობის საქართველო-ისრაელის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პირველი პრეზიდენტი ვიყავი. ბევრი ვიშრომე იმისთვის, რომ ეს მონასტერი საქართველოს დაბრუნებოდა, მაგრამ მოხდა თქვენთან ეს რევოლუცია, თუ გადატრიალება და ყველაფერი შეწყდა დროებით.

ამ წიგნში ცალკე თავი მაქვს გაპონოვზე. მე ვიყავი მისი მკურნალი ექიმი და ბევრ რამეში დავეხმარე.

— ლაილაშის მღვიმეს რას ადარებთ, ამ წიგნში?

— ამ წიგნშია. ლაილაშში მე შევადარე მღვიმეს, სადაც 2500 წელიწადი იცხოვრეს ებრაელებმა ისე, რომ არ ჰქონიათ კონტაქტი მსოფლიოს არცერთ ქვეყანასთან. როგორ მოხდა, რომ ამ პატარა სოფლიდან ამდენი ინტელექტუალი დაიბადა? ამას ვხსნი მისტიკისა და რელიგიის საფუძველზე:

„...ებრაელები, რომლებიც 2.500 წლის წინათ აქ დასახლდნენ, — კითხულობს ციტატას, — თავს მღვიმეში გრძნობდნენ. ადამიანები, რომლებიც მათ გვერდით სახლობდნენ, ცხოვრების ნირით არ ჰგავდნენ ებრაელებს, რომლებიც სხვა, ასერიგად მიუკარებელ ხალხებში რომ სახლობდნენ. მათ რადგან კავშირი მაინც ჰქონდათ გარშემო ცივილიზაციასთან. ლაილაშელები გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობრიობით, სიბრძნით, სიამაყითა და ვაჟკაცობით და, რა თქმა უნდა, თორისა და ღმერთის ურყევი რწმენით.

შემეკითხებით, რატომ მაინცა და მაინც ისინი?

გავიხსენოთ ებრაელი წინასწარმეტყველები, რომლებიც გამოქვაბულებში აფარებდნენ თავს. სწორედ აქ ეზიარებოდნენ ისინი საოცარ შთაგონებას, სწორედ გამოქვაბულში 12 გრძელი წელიწადი გაატარა ელიაზარმა თავის ვაჟთან ერთად... სწორედ გამოქვაბულში გამოეცხადებოდა მას ელია წინასწარმეტყველი, თორისა და კაბალის საიდუმლო რომ ესწავლებინა მისთვის. ამრიგად, მიღებული ცოდნა საფუძვლად დაედო ძოჰარს — დიდ წიგნს".

— ესე იგი, იზოლაციონიზმი ხელს უწყობს ნიჭის განვითარებას?

— ეს არ იყო იზოლაციონალიზმი. კულტურა ლაილაშელ ებრაელობას ისრაელიდან ჰქონდა ჩამოტანილი. ქართულ კულტურასთან ურთიერთობამ, როდესაც ქართველი ბავშვები სინაგოგაში იზრდებოდნენ, ებრაელი ბავშვები, — ეკლესიაში, როდესაც ერთმანეთს შორის გაყოფა არ იყო, შექმნა ის ფენომენი, რომელსაც „ლაილაშის მღვიმის" სახელი დავარქვი.

ის, რაც ჩამოჰყვა ბაბილონიდან გამოსულ ებრაელებს, დღე-დღეობით არა მარტო ებრაელებში, არამედ იქ მცხოვრებ ქართველებშიც..

• • •

ბოლოს მთელი ოჯახი დავაყენეთ მე და [illegible] წინ:

— რას დაუსურვებდით საქართველოს?

— ვუსურვებდი ქართველ ხალხს ერთობას, ერთმანეთის ერთგულებას, პატივისცემას, მშვიდობას, და ღმერთი დაეხმარება იმისთვის, რომ რაც ადრე იყო, იმაზე უკეთ იქნება, მოწმე ვიქნებით იმისა, რასაც ახლა შვეიცარიაში ვხედავთ: სიმდიდრეს, სიმშვიდეს, ყველაფერ სიკეთეს.

აი, ასეთია ჩვენი სურვილები ქართველი ხალხისადმი. ჩვენ გვიყვარს ქართველები და, ალბათ, მალე დადგება დრო, რომ ერთმანეთს ისევ შევხვდებით.

ალოცებდა ებრაელი კაცი ქართულად და კათოლიკური ეკლესიის ზარები რეკდა და ექოდ [illegible] შვეიცარიის მთებში.

არმაზ სანებლიძე.
ჟენევა-თბილისი.

---

*დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 124.

კონტაქტები

ნდობა ღირსეული პარტნიორია

საქართველო და უკრაინა არიან და იქნებიან ღირსეული პარტნიორები, — განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინის რესპუბლიკაში ვალერი ჩეჩელაშვილმა.—დღეისათვის ჩვენს ქვეყნებს შორის სამართლებრივი ბაზა მოიცავს 35 დოკუმენტს. ეს არის ორ ქვეყანას შორის გადებული ხიდი, ხოლო როგორი მოძრაობა იქნება ამ ხიდზე, დამოკიდებულია ჩვენზე და ბიზნესმენებზე.

ელჩმა გულისტკივილით აღნიშნა ის ფაქტი, რომ 1993 წელს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში უკრაინას მესამე ადგილი ეკავა, ხოლო წლეულს მეთოთხმეტე, რაც პირველ რიგში ჩვენს ბიზნესმენებს შორის ეკონომიკური უნდობლობით ახსნა. მისი აზრით, საჭიროა თანამშრომლობის კონკრეტული ფორმების განვითარება. სახელდობრ, ისეთი ჰორიზონტული კავშირების დამყარება, როგორიც ქუთაისსა და ხარკოვს, რუსთავსა და ლუგანსკს შორის არის. მთავარი კი მაინც ნდობა და ფინანსებია.

ვალერი ჩეჩელაშვილმა ყურადღება გაამახვილა უკრაინაში რეფორმების გააქტიურებაზე, რითაც შესაძლებელი გახდა ინფლაციის შეჩერება და კარბოვანეცის კურსის გაყინვა. ამის საფუძველზე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ოქტომბერში ფულადი რეფორმის განხორციელების, კერძოდ, ეროვნული ვალუტის — გრივნის შემოღების შესახებ. ეს მომენტი საგულისხმოა იმით, — თქვა ელჩმა, რომ საქართველოში სულ მალე ბრუნვაში შემოვა ლარი. ეს ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის საფინანსო სისტემების მოწესრიგებას და ნორმალური საფინანსო ურთიერთობების დაწყებას.

რაც შეეხება ურთიერთობებს პოლიტიკურ სფეროში, ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. უკრაინაზე დიდად არის დამოკიდებული თუ საით, ეკონომიკური ინტეგრაციით თუ რაღაც სხვა გზით წავა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, ამიტომ უკრაინას ამ თვალსაზრისითაც საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

დასასრულს ვალერი ჩეჩელაშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ტერიტორიული სიდიდით განსხვავებისა, პრობლემები ორივე ქვეყანაში ერთნაირია და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო-უკრაინის ტრადიციული სიახლოვე გაგრძელდება, რაც ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება.

ბექა ჭედია.

ჩვენი საერთო დღესასწაული

ქუთაისო, ქუთაისო, შენთან არის ჩემი გული!..

დღეს, 21 სექტემბერს ქუთაისში დაიწყება და ექვს დღეს გასტანს ჭეშმარიტად ეროვნული დღესასწაული — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავი, რომელიც „იუნესკოს" ეგიდით ტარდება.

ჩვენმა კორესპონდენტმა ამ მოვლენასთან დაკავშირებით ორი შეკითხვა დაუსვა დღესასწაულის მონაწილე ცნობილ ქართველ მწერლებს და მეცნიერებს:

1. როგორ გესახებათ ამ იუბილის ეროვნული მნიშვნელობა?

2. თქვენი დამოკიდებულება ქუთაისთან და მის როლთან თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

როინ მეტრეველი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

1. ამ იუბილეს, უპირატესად, სწორედ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. დღეს საქართველოს გაერთიანების ათასწლოვანი იუბილის აღნიშვნა უაღრესად საჭირო და აუცილებელიცაა, სწორედ ამჟამად, ქვეყნის ძნელბედობის ჟამს გვჭირდება საქართველოს გამთლიანება-ერთიანობისა და სიმტკიცის იდეის, დავით კურაპალატის და იოანე მარუშის ძის ჭეშმარიტი პატრიოტიზმის მაგალითების წამოწევა. ჩვენი სახელოვანი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი დავით აღმაშენებლის მშვენიერი ძეგლის ქუთაისში დადგმა გვირგვინად დაედება ზეიმს; დიდი დავით აღმაშენებელი ხომ სახელმწიფოს — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, გადაჭიმული საქართველოს — სიძლიერის სიმბოლოა. დღეს ქართულ სულს სჭირდება ეროვნული ზეიმი. ბარაქალა ქუთათურებს, რომ ეს ზეიმი გვაჩუქეს.

2. ქუთაისი ჩემთვის, მრავალი მიზეზის გამო, ძვირფასი და საყვარელი ქალაქია. თავისი ძველი ისტორიითა და კოლორიტით იგი მსოფლიოს საინტერესო და განსაკუთრებულ ქალაქთა შორისაა.

ვფიქრობ, თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში ქუთაისის როლი განსაკუთრებულია, დიდია. ქუთაისი (არ შემიძლია არ დავასახელო ქალაქის მერი, დაუღალავი და დაუდგრომელი, მუდამ სიახლის მაძიებელი და პრინციპული თეიმურაზ შაშიაშვილი) დღეს რეალურ მაგალითს იძლევა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, როგორ უნდა წარიმართოს ქვეყნის აღმშენებლობა ახალ ვითარებაში. ქუთაისი მრავალი სიახლის გატარების ავანგარდშია და მისი მაგალითი კულტურული თუ სამეურნეო მშენებლობის თვალთახედვით, განსაზოგადებელია.

გურამ ფანჯიკიძე — მწერალი:

1. ეროვნული ტრაგედიაა, როცა კულტურული და ინტელექტუალური ცენტრები მხოლოდ ერთ ქალაქშია თავმოყრილი. ამჯერად საქართველოში მეტად სასურველი პროცესი დაიწყო კულტურული და ინტელექტუალური კერების გადანაწილებისა. ამ მხრივ ქუთაისი განსაკუთრებული ქალაქია და მიხარია, რომ იგი გახდა რესპუბლიკის მართლაც მეორე ქალაქი. არ შეიძლება ამ დიდ საქმეში სახელმწიფოს მეთაურისა და ბატონ თემურ შაშიაშვილის დამსახურება და როლი არ ვაღიაროთ.

2. მე ბატონი ედუარდ შევარდნაძისა და აწ განსვენებული სოლიკო ხაბეიშვილის დავალებით ქუთაისში დავაარსე ჟურნალი „განთიადი", თითქმის 4 წელიწადს ვმუშაობდი ამ უმშვენიერეს ქალაქში. შემდგომ, როცა გამომცემლობაში გადამიყვანეს, სამ ენაზე გამოვეცი უძვირფასესი ალბომი „ქუთაისი", რომელიც გერმანიაში დაიბეჭდა. მე ვიყავი მისი შემდგენელიც, რედაქტორიც, წინასიტყვაობის ავტორიცა და გამომცემელიც.

ეს იყო ჩემი სიყვარულის გამოხატვა ქუთაისისა და ქუთაისელების მიმართ.

რაც შეეხება ქუთაისის როლს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, პირველ პასუხში უკვე ვთქვი, რომ იგი გახდა საქართველოს ჭეშმარიტად მეორე ქალაქი.

რეზო ჭეიშვილი — მწერალი:

1. ამ ზეიმის ეროვნული მნიშვნელობა ხვალინდელი საქართველოს ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის, სიძლიერისა და სიმტკიცის იმედში და აუცილებლობაშია.

ერთიანი, აღორძინებული საქართველოს პირველ დედაქალაქში აიგო ტაძარი ბაგრატისა, როგორც ვარაუდობენ, საქართველოს სულიერი და მატერიალური სიძლიერის სიმბოლოდ. სწორედ ამ ტაძრის აღდგენასთან (იგი ათასი წლის თავზე, 2000 წელს უნდა გასრულდეს) არის დაკავშირებული ეს ღონისძიება; ფაქტი კი, თავისთავად, ბევრის მთქმელი და მიმანიშნებელია.

2. ქუთაისში დავიბადე, იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა. კავშირი იქაურობასთან, შემოქმედებითი თუ ცხოვრებისეული, დღემდე არ გამიწყვეტია. ჩემი დამოკიდებულება ჩემი სიყვარულის ქალაქთან, აქედან გამომდინარეც, მრავალმხრივია. ამის შესახებ ბევრმა იცის და ბევრი ლაპარაკი საჭიროდ არ მიმაჩნია.

ქუთაისის როლი თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში მაღალია, განუზომელია.

ბუნებრივია, ქუთაისს მეწინავის როლი დააკისრა განგებამ, ასე იყო, ასე იქნება და ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლებამ. პირადად ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ და ყველამ, ვისთვისაც სახელმწიფოებრივი შეგნება მთავარი და უმთავრესია, ვისაც მართლა სურს ძლიერი ზურგი, ძლიერი საყრდენი ბურჯ-გალავანი, ჭეშმარიტად მეორე მატერიალურად და სულიერად აყვავებული ქართული ქალაქი. ამისათვის რადიკალური ღონისძიებების მიღებაა ამთავითვე საჭირო, რაზეც ცალკე უნდა ითქვას...

რევაზ მიშველაძე — მწერალი:

— ამ იუბილით მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ, რომ დამოუკიდებლობისათვის საქართველოს ბრძოლა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების ან ხელისუფლების პროგრესული ნაწილის ახირება კი არ არის, არამედ ისტორიული კანონზომიერება და ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციის გაგრძელებაა.

ათასი წლის წინათ კვლავ აღსდგა საქართველოს სახელმწიფო. საოცარია, რომ იმპერიათა დამთრგუნველი წნეხის ქვეშ ეს პატარა ქვეყანა არამარტო არსებობას, სახელმწიფოს ატრიბუტების შენარჩუნებასაც ახერხებდა, ფენიქსისებრ აღსდგებოდა ხოლმე და გარეშე მტერთაც აიძულებდა ანგარიში გაეწიათ მისი ჯიუტი ნებისთვის.

გარდა ამისა, მსოფლიომ უნდა გაიგოს, დედამიწის რუკაზე თვალი გაადევნოს იმ ტერიტორიას, განახლებულ საქართველოს სახელმწიფოს რომ ეჭირა შუა საუკუნეებში. დღევანდელი დაჭრილ-დაქუცმაცებული და ლეჩაქმოხდილი საქართველოს შემყურე აფხაზ-ოს სეპარატისტებს და იმპერიის დამქაშებს არცთუ სასიამოვნოდ დაურჩებათ საქართველოს იმდროინდელი საზღვრების ხილვა.

ეს გახლავთ ამ დღესასწაულის ეროვნული მნიშვნელობა.

რაც შეეხება ქუთაისს, იგი ჩემი მშობლიური ქალაქია და ჩემი დამოკიდებულება ამ ჩემი ადგილის დედის მიმართ ჩემს წიგნებში ჩანს.

მინდა შევახსენო მკითხველს, რომ გასულ საუკუნეში რუსულმა იმპერიამ საქართველოს კუთხეთაგან ყველაზე ბოლოს იმერეთი დაიპყრო და ძალით შეიერთა, ხოლო იმერეთის მეფემ — სოლომონ დიდმა ბოლომდე ქედუდრეკლის სახელი იმითაც დაიგდო, რომ გაექცა დამპყრობლის ჩექმას და ტრაპიზონში დალია სული.

სულით და გულით მინდა დღესაც ქუთაისმა საქართველოს სახელმწიფოებრივ აღდგენაში ისეთივე როლი შეასრულოს, ათასი წლის წინათ რომ შეასრულა.

ხსოვნა

ტატიანა ბუხბინდერი

მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული კულტურის მოღვაწე, მუსიკალური თეატრის რეჟისორი, დამსახურებული არტისტი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტი ტატიანა ბუხბინდერი.

ტ. ბუხბინდერი დაიბადა 1940 წელს. მამა ქართული საოპერო ხელოვნების ცნობილი მოღვაწე იყო. ტ. ბუხბინდერმა დაამთავრა მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და მიიღო მუსიკალური თეატრის რეჟისორის კვალიფიკაცია.

1968 წლიდან თავისი ცხოვრება მრავალი წლით დაუკავშირა ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას თეატრალურ ინსტიტუტში.

ტ. ბუხბინდერი 1971 წლიდან ინსტიტუტში დგამს სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებს (მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი", ბ. აბრაჰამის „ერთხელ სავოიში", ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა", „ხილვა" და სხვა).

ტ. ბუხბინდერი იყო მუდამ მოუსვენარი, ახლის მაძიებელი, თავისი საქმის ტრფიალი, უანგარო და თავდადებული პედაგოგი. ყველაფერს აკეთებდა ხალისით, შემოქმედებითი აღმაფრენით, მუდამ იყო სიცოცხლით სავსე. გამორჩეულად უყვარდათ სტუდენტებს, რადგან თავის პიროვნულ მომხიბვლელობასთან ერთად მას ჰქონდა მაღალი პროფესიული კულტურა, ადამიანებზე ზემოქმედების ნიჭი.

ტ. ბუხბინდერი იყო ბუნებით ენთუზიასტი ხელოვანი, იგი ყველგან იყო, სადაც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. უყვარდა ახალ საქმეთა წამოწყება, სწორედ მისი ინიციატივითა და არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭიერებით გაკეთდა ინსტიტუტში და მის გარეთ არაერთი კულტურული საქმე, მათ შორის გორის საოპერო სტუდიაში ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მუსუსის" დადგმა, რენესანსული მუსიკის პროპაგანდა, — „საკრავებიანი თეატრის" შექმნა და სხვა.

თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს არასოდეს დაავიწყდებათ ტანია ბუხბინდერის სახელი.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი რეჟისორი და პედაგოგი, მუსიკალური თეატრის მსახიობთა აღმზრდელი, ქართულ პოეზიაზე შეყვარებული, ქართული კულტურის ქომაგი ტანია ბუხბინდერი.

საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი; ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრი.

შვილები მაყვალა, გია წილოსნები, რძლები თამარ ბიბეჩავა, თეა კიკალეიშვილი, სიძე გოგი ჭკებენავა, შვილიშვილები გიორგი, სალომე ჭკებენავები, ვალერიან, ნინო წილოსნები, სიძე დავით ჭოლოკავა, რძალი მედეა შარაშენიძე, დისწული ნოდარ ჭოლოკავა, ძმისწულები გიული, ვახტანგ, ლალი, ნანი, თენგიზ, თემურ შარაშენიძეები ოჯახებით, მულები შურა, თამარ, ვარდო, მაზლები კარლო, შოთა წილოსნები ოჯახებით, მძახლები ლუბა, მიშა ბიბეჩავები, შურა გაბედავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ ალექსის ასული შარაშენიძე-წილოსანი

პანაშვიდი 22, 23 IX, 4 სთ., გამოსვენება 24 IX 3 სთ., გამსახურდიას გამზ., 2, (IV სადარბაზო).

მეუღლე ქეთევანი, შვილები ლიანა, მზია, ნარგიზი, ქეთინო, მარინე, ნანა, ელისო, დები ქეთევანი, ნინა, მერი, ძმები ოთარი, ჟორა, სიძეები გაიდარ ცინცაძე, შერაზ უგრეხელიძე, ვახტანგ კაკაბაძე, შვილიშვილები ალეკო, გოგი, სალომე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი სარდიონის ძე ხაჩაპურიძე

პანაშვიდი 22, 23 IX, დაკრძალვა 24 IX, 3 სთ, ქ. ქუთაისი, ლ. ასათიანის მე-7 შესახ. 11.

გამოსათხოვარი

ნოდარ ხვთისიაშვილი

თავიდანვე რომანტიკული ოცნების ადამიანი იყო და ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე ნოდარ ხვთისიაშვილი. ბუნებით უშიშარმა და მტკიცემ ვერ გაუძლო უსამინლეს ოჯახურ ტრაგედიას — თითქმის ზედიზედ ორი შვილის დაღუპვას და თუ პირველი უსასტიკესი ფსიქოლოგიური ტრავმა მან ასე თუ ისე გადაიტანა, თუკი გადატანა ეთქმის სამუდამოდ გაუბედურებული მამის არსებობას, მეორე ტრავმას უკვე ვეღარ გაუძლო. თავისი სიკვდილით საბოლოოდ გამოიტირა ორი ვარსკვლავივით ბიჭი — კახა და აბუკა და მოწამებრივი გარდაცვალებით, თითქოს სამარადისო ძეგლი დაუდგა შვილების ხსოვნას.

ნოდარ ხვთისიაშვილის მთელი ცხოვრება საკუთარი თავის ძიებისა და თვითდამკვიდრების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო. ბუნებით მომადლებულ ნიჭს ემატებოდა საფუძვლიანი აკადემიური განათლება, განსწავლულობა, ერუდიცია და ანალიტიკური აზროვნება. უმაღლესიდანვე ეზიარა ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერებების მადლს. ხატავდა, წერდა, ოცნებობდა და ამ გატაცებებს ორგანულად უკავშირებდა თავის ძირითად პროფესიას — ღვინის ტექნოლოგიას. იგი თავისი წინაპრების დარად წმინდად ინახავდა მეღვინეობა-მევენახეობის ძირძველ ქართულ ტრადიციებს. ამ, ერთი შეხედვით, პროზაულ სამეურნეო საქმეში ნოდარ ხვთისიაშვილმა შეიტანა ისეთი პიროვნული ინტელიგენტური ელემენტი, რომელიც ნებისმიერ დარგს მიმზიდველად და რომანტიკულად აქცევს.

ალბათ, ამიტომაც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური იყო ისიც, რომ ნოდარ ხვთისიაშვილმა საქართველოში პირველმა 1988 წელს დააარსა ფირმა „სამება" და ასევე პირველმა გააბა პირდაპირი კონტაქტები უცხოეთის ფირმებთან და ორგანიზაციებთან. ამგვარი პრეცედენტი პირველი იყო მეღვინეობის დარგში მთელს მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

თუმცა ნოდარ ხვთისიაშვილს ოჯახიდან მოსდგამდა თავმდაბლობა, მოკრძალება და ხათრიანობა, იგი ყველგან და მუდამ პირველობისაკენ ისწრაფვოდა — სკოლაშიც, უმაღლეს სასწავლებელშიც, ბიზნესშიც. მას „თვითნაბად ბიზნესმენს" ეძახდნენ. ბიზნესი მისთვის არ ყოფილა მხოლოდ კომერცია, არც პირადი გამდიდრების საშუალება. ჰარმონიულად განვითარებული და დახვეწილი პიროვნება ბიზნესში ეძებდა და პოულობდა სოფელ-ქვეყნისთვის, ადამიანებისთვის და საზოგადოებისათვის საჭირო და სასარგებლო განძს, ამ მხრივ მას ჰყავდა სათაყვანებელი და სამაგალითო დიდი წინამორბედი — დავით სარაჯიშვილი, რომელმაც ბიზნესი პატრიოტულ და საქველმოქმედო ასპარეზადაც აქცია.

ნოდარმა, როგორც მხნე და ძლიერმა ორგანიზატორმა, ფართოდ გაუხსნა მსოფლიო ბაზრებისაკენ გზა საყვარელი პირმშოს „სამების" პროდუქციას. მან შექმნა პირველი ერთობლივი საწარმო პოლონეთში, პირველად მოახდინა საწარმოს პრივატიზაცია, ასევე პირველმა მოიზიდა ავტორიტეტული ინვესტორი — ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცი, რომელიც აფინანსებს ქართულ-ამერიკულ ერთობლივ საწარმოს „ჩალას ვაილსს".

ნიჭიერ, შემძლე და ავტორიტეტულ პიროვნებას ერთადერთი პრივილეგია აქვს — იგი სხვებზე მეტს შრომობს. მუდამ მოუცლელ ნოდარს არასოდეს უთქვამს უარი, საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარება-გადაწყვეტაში მონაწილეობაზე, იგი იყო მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური რეფორმების კომისიის წევრი, სახელმწიფოს მეთაურთან არსებული დირექტორთა საბჭოს წევრი, საქართველოს მეწარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

ამ ძუნწი, ოფიციალური ჩამონათვალის მიღმაა ნოდარ ხვთისიაშვილის სანაქებო საქველმოქმედო საქმიანობა, რომელიც მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

ჩვენ, მეგობარ-ახლობლებმა, კოლეგებმა, საზოგადოებამ დავკარგეთ ურთგულესი პიროვნება, თბილისმა — გამორჩეული ქალაქელი კაცი, მეღვინეობის დარგმა — საუცხოო სპეციალისტი, მისმა ოჯახმა კი — ყველაფერი.

მეგობრები.

დედა მანანა გოგეშვილი, ძმა მერაბი, რძალი ნინო კურატაშვილი, ბებიები ნინა, მერი, დეიდა ნინა, მამიდა ბელა, ბიძები მერაბ ხვთისიაშვილი, მირიან მირიანაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

აბუკა ნოდარის ძე ხვთისიაშვილი

მეუღლე მანანა გოგეშვილი, შვილი მერაბი, დედა ნინა, ძმა მერაბი, და ბელა, რძალი ნინო კურატაშვილი, სიდედრი მერი, დეიდაშვილი მირიან მირიანაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ აბოს ძე ხვთისიაშვილი

პანაშვიდი 21, 22 IX; 5 სთ., გამოსვენება 23 IX, 3 სთ., ყიფშიძის ქუჩა № 2.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალნენ რესპუბლიკის კვების მრეწველობის თვალსაჩინო მუშაკი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფირმა „სამება"-ს გენერალური დირექტორი

ნოდარ ხვთისიაშვილი

და მისი შვილი

აბუკა ხვთისიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მევენახეობისა და მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალნენ რესპუბლიკის მეღვინეობის მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფირმა „სამება"-ს გენერალური დირექტორი

ნოდარ ხვთისიაშვილი

და მისი ვაჟი

აბუკა ხვთისიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ს. ს. პრივატიზაციის სპეციალიზებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდი „ვაუჩერ ლიდერ ინვესტი" იუწყება, რომ გარდაიცვალნენ ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ნოდარ აბოს ძე ხვთისიაშვილი

და მისი ვაჟი

აბუკა ნოდარის ძე ხვთისიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის 1963 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან დარგის გამორჩეული სპეციალისტის, დიდი ორგანიზატორისა და შემოქმედის, ერთგული მეგობრისა და ნათელი პიროვნების

ნოდარ ხვთისიაშვილის

და მისი ვაჟის

აბუკა ხვთისიაშვილი

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახს.

მოკლედ

ხანძარი ტყეში

საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროში აცნობეს, რომ 18 სექტემბერს 22 საათზე ცეცხლი გაუჩნდა შიო მღვიმის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ტყის მასივს — დაახლოებით 2000 კვადრატულ მეტრ ფართობს.

ხანძარს აქრობდა ოთხი სახანძრო ავტომანქანა. ლოკალიზება მოხდა 19 სექტემბერს 00 საათსა და 18 წუთზე, ცეცხლი ჩააქრეს 01 საათსა და 20 წუთზე.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი და ზარალის რაოდენობა დგინდება.

აღდგა დაწყებითი სამხედრო მომზადება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში აღდგა დაწყებითი სამხედრო მომზადება. ამასთან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ გამოსცა ბრძანება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების საშუალო სასწავლო დაწესებულებებთან მიმაგრების შესახებ.

ბრძანება ავალებს ადგილობრივ განათლების განყოფილებებსა და სამხედრო კომისარიატებს ერთი თვის ვადაში შეადგინონ ერთობლივი გეგმა დაწყებითი სამხედრო სწავლების პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობებისა და მეთოდური ღონისძიებების მოსაწყობად.

სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, აგრეთვე მოსწავლეების ტაქტიკური, საცეცხლე და ტექნიკური მომზადების საკითხებს.

საზაფხულო დრო მთავრდება

24 სექტემბერს მთავრდება 1995 წლის „საზაფხულო" დროის მოქმედების პერიოდი. ამასთან დაკავშირებით საათის ისრები რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე 24 სექტემბრის 03 საათზე გადაიწევს ერთი საათით უკან.

მხოლოდ უსისხლოდ, მშვიდობიანი გზით

ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის გარდატეხის ეტაპად რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი ემზარ საბანაძე 1995 წლის მაის-ივნისის კახეთის ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს მიიჩნევს.

რატომ მაინცდამაინც კახეთი აირჩიეს ამ მნიშვნელოვანი შერკინების არენად? რამ გადაადგმევინათ ბევრი სპეციალისტის თვალში ეგზომ „არაპოპულარული" ნაბიჯი?

ვინ მართავდა კახეთს

— **იმხანად,** კახეთი, კრიმინოგენური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე დაზიანებული და არამდგრადი რეგიონი იყო, — **ამბობს მინისტრის მოადგილე,** — სრული განუკითხაობა და ქაოსი სუფევდა, ყველას და ყველაფერს მაშველთა კორპუსის ადგილობრივი ორგანიზაციების მესვეურნი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვადასხვა დამნაშავე პირები განაგებდნენ. რეგიონის პოლიცია და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სრულ ინერტულობას ამჟღავნებდნენ, სუსტად ებრძოდნენ დამნაშავეობას, ოპერატიული ინფორმაციაც კი დროულად და ამომწურავად არ მოდიოდა. მინისტრმა რამდენჯერმე მკაცრად გააფრთხილა პოლიციის ადგილობრივი ხელმძღვანელები, შემდგომ, როგორც ცნობილია, ბევრი მათგანი გაათავისუფლა კიდეც დაკავებული თანამდებობიდან. გადაწყდა ბრძოლა სამინისტროს ძალებით დაწყებულიყო. დაიგეგმა სპეციალური ორეტაპიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება. პირველ ეტაპზე, 30 მაისს, ღონისძიებას ბატონი მინისტრი ხელმძღვანელობდა. ამოვიღეთ დიდძალი იარაღი, მძიმე ტექნიკა, დავაკავეთ ძებნილები, დამნაშავეთა ჯგუფები. გეგმის მიხედვით, ოპერაციის მეორე ეტაპიც, 2-3 დღის შემდეგ, მოულოდნელად კვლავ კახეთის რეგიონში უნდა განხორციელებულიყო. ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ თელავში, კახეთის მაშველთა კორპუსის შტაბ-ბინაში კახეთის მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელებთან ერთად, სხვადასხვა უმძიმეს დანაშაულობებში ეჭვმიტანილი პირები და ძებნილები იმყოფებოდნენ, იყო ბევრი იარაღი.

80 შეიარაღებული კაცის დასარწმუნებლად

— **მაშველთა** კორპუსის შტაბ-ბინაში კარგად შეიარაღებული ოთხმოცამდე კაცი გველოდებოდა. როგორც მოგახსენეთ, წინასწარ ვიცოდით, რომ მათში ისეთი ხალხიც ერია, ვინც უმძიმეს დანაშაულობებში — ძარცვაში, ადამიანების მოტაცებასა და მკვლელობებში იმხილებოდა. გამთენიისას, შენობას ალყა შემოვარტყით. ერთი გარემოება რომ არა, თითქოს არაფერი უნდოდა შენობაში მყოფთა განიარაღებას. საქმე ის იყო, რომ ამ ხალხმა თბილისიდან, თავისი ხელმძღვანელობიდან, ბრძანება მიიღო: იარაღი არ ჩააბაროთ, თუ საქმე გართულდა, დამატებით ძალას მოგაშველებთო. ამასთან, ისიც იყო გასათვალისწინებელი, რომ იმ 80 კაცის უკან 80 ოჯახი იდგა. ერთ სროლას მეორე მოჰყვებოდა, მეორეს — მესამე და იოლი წარმოსადგენია, თუნდაც ერთი კაცის სიკვდილითაც კი, რა შეიძლება მომხდარიყო. ამიტომ შევედი მოსალაპარაკებლად, მარტო შევედი, თავდაპირველად არავინ მახლდა. საუბრის პროცესში შემოგვიერთდნენ რესპუბლიკის საგზაო პოლიციის უფროსი ლევან კენჭაძე, მისი მოადგილე თამაზ გოგინაშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი.

თბილისის ორი რჩევა

— **მოლაპარაკებამ** თითქოს გამოიღო შედეგი. ერთ კაცს დაავალეს, რომ ზემოთ, ხელმძღვანელობისთვის დაერეკა. ის ჩვენ გამოგვყვა. მძიმე ტექნიკა შეიძლება ჩააბაროთ, ავტომატური იარაღი კი არავითარ შემთხვევაში, მიიღო იმ კაცმა პასუხად.

ამასობაში, ემზარ საბანაძეც ელაპარაკა თბილისს: — ძალის გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ ისე, როგორც ჩვენ გვინდა, ყველა დამნაშავე, ვისზეც ეჭვი გვაქვს, ავიყვანეთ.

სახელმწიფოს მეთაური და შინაგან საქმეთა მინისტრი ძალის გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ; ამრიგად, ყველაფერი მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარებულიყო. ადგილობრივი ხელმძღვანელობა რატომღაც იარაღით შესვლას ამჯობინებდა. დიალოგზე რომ მიდგა საქმე, არც ერთი მათგანი კაბინეტიდან არ გამოსულა.

ერთი ჯავშან-მანქანა მართლაც ჩააბარეს პოლიციას, აგრეთვე განთქმული „მაჰაბელა", რომელიც დათანხმდა იმ პირობაზე, რომ თუ ნებით ჩაბარდებოდა, ხელისუფლებისაგან გარკვეულ შეღავათს მიიღებდა.

ამასობაში, თელავში თემურ ხაჩიშვილი და გიგა გელაშვილიც ჩამოვიდნენ..

კიდევ ვისზე გაქვთ ეჭვი?

პოლიციას იარაღს არ ჩავაბარებთ, უშიშროებას ჩავაბარებთო..

„მაჰაბელასაც" მე წავიყვანო, შემოგვთავაზა თემურ ხაჩიშვილმა.

პოლიცია და უშიშროება ვინ გაყო, ვიფიქრეთ, და მივეცით დასტური.

— კიდევ ვისზე გაქვთ ეჭვი? — მეკითხებოდნენ.

განსაკუთრებით, დოდო გუგეშაშვილი აქტიურობდა.

ვხვდებოდი, ჩემს გამოტყუებას აპირებდნენ.

— მეტი, ვინც ჩვენ გვაინტერესებს, აქ არავინ არისმეთქი, ვპასუხობდი მშვიდად.

ვხედავდი, თვალის ასახვევად, როგორ აბარებდნენ თითო-ოროლა იარაღს უშიშროების სამსახურს, დანარჩენს, დიდ ნაწილს კი, ავტომანქანების საბარგულებსა და სალონებში ალაგებდნენ.

წინააღმდეგობის მიუხედავად, ოპერაცია გრძელდებოდა და საბოლოოდ ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც ჩაფიქრებული იყო. ჩვენს ბიჭებს კონკრეტული დავალებები მივეცით: ყველამ წინასწარ იცოდა, შტაბ-ბინიდან გამოსვლისთანავე, ვინ უნდა დაეკავებინა. ასე და ამრიგად ოცდაათამდე კაცი დავაკავეთ, დიდძალი იარაღი ამოვიღეთ. დანარჩენი, ვისზეც ოპერატიული ინფორმაცია არ გვქონდა, საშიში ზონიდან ჩვენ თვითონ გამოვაცილეთ, რადგან ეზოში შეკრებილი 5 ათასი აღელვებული კაცი უკლებლივ ყველას ჩაქოლვას აპირებდა. ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, მომდევნო დღეებში, სხვა დანარჩენი ჯგუფებიც ავიყვანეთ.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

მხოლოდ იარაღის ტარებისათვის კაციშვილი არ დაგვიკავებია. აბსოლუტურად ყველა დაკავებულს უმძიმესი დანაშაულობების (ყაჩაღობა, მკვლელობა, სახელმწიფო ქონების მითვისება და ასე შემდეგ) ჩადენა ედებოდა ბრალად.

ამასთან, ათეულობით გატაცებული ავტომანქანაც ამოვიღეთ.

— ბატონო ემზარ, თქვენი დატყვევების ჭორი როგორ გავრცელდა?

— ეს, ვფიქრობ, გიგა გელაშვილის ნახელავია. მართალია, ერთ-ერთი ჩვენი შეხვედრის დროს გაიკვირვა და მითხრა, მე არაფერ შუაში ვარო, მაგრამ ნამდვილად მან თქვა.

— „მაჰაბელას" საქმე როგორ წავიდა?

— გენერალურ პროკურორს რამდენჯერმე სურდა მისი წინასწარი გამოძიების იზოლატორში გადმოყვანა, მაგრამ ყოველთვის უშიშროების სამსახურის მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

ახლა დაიძრა „მაჰაბელას" საქმე.

— ყვარლის ტყეში ოთხი პოლიციელის მკვლელობის საქმე?

— მკვლელთა ვინაობა ცნობილია.

ამჟამად ყვარელში მივლინებულია სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც ეძებს მათ.

— აღნიშნული დანაშაული ყვარლის გამგებლის მოადგილის მაფიოზ კირკიტაძის შეკვეთით ხომ არ მოხდა?

— არა მგონია, ის ამ დროს უკვე დაკავებული იყო. მას დიდძალი ცხვარი ჰყავდა, რომლის ასაწერად წავიდნენ პოლიციელები მთაში. მომავალი მკვლელები ცხვარს და ქონებას ადევნებდნენ თვალყურს.

სამტრედიის ჯერი

მაშველთა კორპუსელები თუ მხედრიონელები სამტრედიასაც აკონტროლებდნენ. მათი მოთვინიერების ჯერიც დადგა. განხორციელდა ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რომლის შედეგად დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი ამოიღეს, დააკავეს 27 უმძიმეს დანაშაულობებში ეჭვმიტანილი პირი, რომელთაგან 14 მაშველთა კორპუსის წევრი იყო. ერთ-ერთ მათგანს კარგად დაზეთილი ავტომატი მიწაში ჩაეფლა.

— ბატონო ემზარ, ტრადიციად ხომ არ დაამკვიდრეს — ერთი ავტომატის ჩაბარება, ორის კი მიწაში ჩამარხვა?

— ორს კი არა, ათასს ინახავენ. აგერ, რუსთავში, ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის თანამშრომლებმა ხევში გადამალული ათეულობით იარაღი, ტყვია-წამალი და მძიმე ტექნიკა ამოიღეს.

ოპერაციის შემდეგ შვებით ამოისუნთქეს სამტრედიელებმა. ახლახან შევიტყვე, რომ ბევრი დაშინებული, გაძარცული და გაქცეული ებრაელი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ სახლკარს.

— როგორც ცნობილია, ბევრი დამნაშავე დაგისხლტათ ხელიდან.

— კანონს ვერსად გაექცევიან. დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ქონება არავის შერჩება.

— ამ ოპერაციების მსვლელობაში დაკავებული ხალხიდან ბევრი გაანთავისუფლეთ?

— ვისაც დანაშაული არ დაუმტკიცდა, გავანთავისუფლეთ. თუმცა, გამოძიების პროცესში მათი რიცხვი ერთიორად გაიზარდა. მაგალითად, კახეთის რეგიონში დაკავებულთა რაოდენობა ასამდე ავიდა. საქმე ისე მიდის, რომ ზღვრული ეს ციფრიც არ იქნება.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კადრობრივი ცვლილებებიც მაშველთა კორპუსის განიარაღების პროცესს უკავშირდება?

— არა.

დროა, საქმეს პროფესიონალი კადრები ჩაუდგნენ სათავეში. კადრობრივი ცვლილებებიც ამ მიზანს ემსახურება.

ცოტა რამ კოლეგებზე

დასასრულ ტერორისტულ აქტებზე ვკითხე — შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლოდროინდელ წარმატებებს მინისტრის ბატონ შოთა კვირაიას ორგანიზატორულმა ნიჭმა, პროფესიონალიზმმა, გაბედულებამ და ქვეყნისადმი ერთგულებამ ჩაუყარა საფუძველი. ის უშიშრად დაუპირისპირდა ყველაზე ბნელ ძალებს, მაშინაც უკან არ დაუხევია, როცა გამარჯვების სასწორი ყოველთვის მის მხარეს არ იხრებოდა. დრო მიდიოდა, მაფიოზურ კლანებად ჩამოყალიბებული დამნაშავეთა სამყარო იცვლიდა ფერს, კანს. თუ ადრე ავტომატით მოდიოდა, ახლა წყნარად, მუშტი-კრივის გარეშე მოქმედებდა, ეკონომიკის ძირითად საშუალებებს რომ იპყრობდა, ქვეყნის მმართველობის პულტსაც ეპოტინებოდა. საჭირო იყო ბრძნული, წინდახედული მოქმედება, დრო და ჟამის შესაფერად ტაქტიკის შეცვლა, სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია. ბატონმა მინისტრმა დროულად შენიშნა ეს და ახალ სიტუაციას, ახალი ტაქტიკა დაუპირისპირა. პირველ რიგში, ორგანიზებული დამნაშავეობის, კორუფციის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური შექმნა, რომელსაც ახალგაზრდა, ნიჭიერი პროფესიონალი კახა თარგამაძე ჩაუყენა სათავეში. გენერალ-მაიორ თარგამაძის ხელმძღვანელობით ამ დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბევრი, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გახსნეს, ბორჯომის ხეობის მკვლელობათა სერიალის ავტორებიც მათ ამხილეს...

— ახლა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, — **მითხრა ემზარ საბანაძემ** — მოხდა უპრეცედენტო შემთხვევა: ერთდროულად ოთხი ტერორისტული აქტი გაიხსნა. ამხილეს ტერორისტთა ჯგუფი, რომელსაც უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილე თემურ ხაჩიშვილი და მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი ხელმძღვანელობდნენ...

რა საჭიროა სიტყვები! როცა საქმე თავის თავად ლაპარაკობს, იქ სიტყვებისათვის ადგილი არ არის.

ზაურ მაკარაძე.

ამინდი

21 სექტემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 10-15, დღისით 20-25, მთაში — ღამით 3-8, დღისით 13-18, მაღალ მთაში — ღამით 1-6, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იქნება ხანმოკლე წვიმა ელჭექით, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 8-13, დღისით 21-26, მთაში — ღამით 2-7, დღისით 16-20, მაღალ მთაში — ღამით 0-5, დღისით — 8-13 გრადუსი სითბო.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი, უმეტესად უნალექოდ, იქროლებს წამში 9-14 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — ღამით 11-13, დღისით 24-26 გრადუსი სითბო.

მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

გამომცემელი — შპს „პრესა" რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66464, ტელ.: 99-78-84. მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი